ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 ივლისი 2004 №172 (2193) ფასი 50 თეთრი


# 2:8 საქართველოს ჩემპიონი გაირღვა



# ქართული ფეხბურთი და ნაგავი მეზობლად ცხოვრობენ




## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი. 14 ივლისი. 18 საათი. ეროვნული. 6 000 (ტევადობა–70 000)

**ვიტ ჯორჯია 2:8 ვისლა**

| | |
|---|---|
| 0:1, 0:2 ფრანკოვსკი (4, 6), 1:2 კობიაშვილი (12), 1:3 გორავსკი (24), 1:4, 1:5 ფრანკოვსკი (26, 50), 2:5 ადამია (51), 2:6, 2:7 ჟურავსკი (57, 68), 2:8 კუჟბა (76) | |
| ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, იმედაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, დათუნაიშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, ნოზაძე, გოჩაშვილი (ლ. კვარაცხელია 65), ადამია (ვ. მერებაშვილი 74), ებანოიძე (სახოკია 32); სათადარიგონი: ბედიაშვილი, კუპრეიშვილი, კვაბაძე, მალიჩავა; მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი | ვისლა: მაიდანი, ბაშჩინსკი, გლოვაცკი, ტ. კლოსი, მიიალოვიჩი (სტოლარჩიკი 46), გორავსკი (შიმკოვიაკი 46), კანტორო, კუკიელკა, ზინჩუკი, ჟურავსკი, ფრანკოვსკი (კუჟბა 70); სათადარიგონი: პიკუტოვსკი, კოვალჩიკი, ეკვუემე, ომეონუ; მწვრთნელი: ჰენრიკ კასპერჩაკი |
| გაფრთხილება: კანტორო (43), იმედაშვილი (78) | |
| მსაჯები: აივარ სტაბერგი; იოსტინ შევიგი, ერიკ რესტადი; იონი დიტლეფსენი (ყველა ნორვეგია) | |
| მატჩის დელეგატი: მედინ კმაჩიოღლუ (თურქეთი) | |
| უეფას დელეგატი: ბიულენთ იავუზი (თურქეთი) | |

## რატომ თხოვდებიან ქალები?

ქალები იმიტომ თხოვდებიან, რომ ძალიან ცნობისმოყვარენი არიან — ეჭვი არ გვეპარება, რომ „ვიტ ჯორჯიასაც“ ძალიან აინტერესებდა, თუ როგორია ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე თამაში და კუთვნილიც დაიმსახურა.

ბოლო წლებში „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული გუნდია, მაგრამ ჩემპიონობას ვიტელები თითქოს ერიდებოდნენ — ლიგის საკვალიფიკაციოსთვის გუნდის გაძლიერებას რომ ვერ შეძლებდნენ, ალბათ ამიტომ. მაგრამ წელს გუნდი ჩემპიონი გახდა, რაშიც „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან კი დაეხმარა „დინამოს“ რეორგანიზაცია, მაგრამ ევროპაზე დამხმარე არავინაა, ეგაა, რომ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ჩემპიონი არის გუნდი, რომელსაც პრეს-ატაშე არ ჰყავს — „ვიტ ჯორჯია“, რომელიც ფარერებზე 0:3 აგებს და რომელსაც ევროპული კი არა, ქართული საზომებითაც ბევრი რამ აკლია.

ლიგის საკვალიფიკაციოზე თამაშს სხვანაირი ინტელექტიც სჭირდება. აქეთ მეტოქისთვის კოზირების დამალვაო, იქით შეკვეთილი პროვოკაციაო, კიდევ სხვანაირი კუთხურებიო... მაგრამ ეს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპია და არა სოფლის ბირჟა.

ნამატჩევს რედაქციაში ერთმა ქომაგმა დაგვირეკა და გვითხრა, ფეხბურთი ძალიან კი მიყვარს, მაგრამ ქართული აღარო.

ვერ ვგუობ იმას, როცა ვინმე ფსონს ეროვნული ნაკრების თუ ქართული კლუბის ევროწაგებაზე დებს, მაგრამ ეს ცხოვრებამ მოიტანა და ვიტელთა გუშინდელმა ფალარათმა კიდევ უფრო დასვარა ქართული ფეხბურთი.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა




# პოლონური პრესკონფერენცია

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია, როგორც მთლიანად მატჩი, კასპერჩაკის ტრიუმფი იყო. „ვისლას“ მწვრთნელი დარბაზში თავაწეული შემოვიდა და დამსახურებული ტაშიც მიიღო. მერაბ კოჭლაშვილი კი... პოლონელებისთვის თამაშის დამმლავი მწვრთნელი პრესასაც დაემალა. მის მაგივრად „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე მოვიდა, რომელთანაც ჟურნალისტებს საკითხავიც არაფერი ჰქონდათ....

კასპერჩაკმა კი თქვა:

... ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, უპირველესად ბურთზე კონტროლით და მოძრაობით. დღეს ჩვენი გუნდის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელიც დაიწერა — „ვისლას“ ევროთასებზე ასეთი ანგარიშით სტუმრად კი არა, შინაც არ მოუგია. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ თბილისში მოსაგებად ჩამოვედით, მაგრამ ასეთი დიდი სხვაობით მოგებას არ ველოდი. „ვისლა“ ნებისმიერ მეტოქესთან, „ბარსელონაც“ რომ იყოს, მოედანზე მოსაგებად გადის.

... მე საქართველოში ადრეც ვყოფილვარ და თბილისში მითამაშია კიდეც. სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს. თქვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გყავდათ და გაცილებით უკეთაც თამაშობდით.

**დავით ერაძე**




# ხინკალიც ვიცი და ვეფხისტყაოსანიც...



## ტადეუშ ჩერვინსკის ძკვიანი და გემრიელი საქართველო

*ტადეუშ ჩერვინსკი — ეს სახელი ქართველი ქომაგისთვის არაფრისმთქმელია, თუმც სტაჟიანი დიპლომატებისთვის ეგებ ნაცნობიც იყოს. პან ჩერვინსკი კრაკოვის „ვისლას“ პრეზიდენტია, ყოფილი დიპლომატი, რომელიც საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის პერესტროიკისას პოლონეთის ელჩი გახლდათ და ხუთი წელი მოსკოვში მუშაობდა.*

*მუშაობდა, მაგრამ საქართველოში სტუმრობა ერთხელაც ვერ მოუხერხებია და მისი ერთი, ახლა უკვე ახდენილი ოცნება თურმე ესეც იყო — საქართველოში ჩამოსვლა. ეგებ თქვათ, რა დიდი საოცნებო ქვეყანა საქართველოაო, მაგრამ, აბა, ტადეუშ ჩერვინსკის ჰკითხეთ?*

*ჩვენ კი „ვისლას“ პრეზიდენტს რაც ვკითხეთ, აგერ, წაიკითხეთ, ჩერვინსკის თვალით დანახული საქართველო იქნებ სხვანაირადაც მოგეჩვენოთ და თავი მეტად დაიფასოთ.*

— ვერ წარმოიდგენთ, თბილისში ყოფნით რა ბედნიერი კაცი ვარ. გორბაჩოვის მმართველობისას ხუთი წელი მოსკოვში, საბჭოთა კავშირში პოლონეთის ელჩად ვმუშაობდი და თითქოს საქართველოში ჩამოსვლა არ უნდა გამჭირვებოდა, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოვახერხე. დღეს კი ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ავისრულე, საქართველოში ჩამოვედი, კეთილ ქართველ ხალხს შევხვდი, მივესალმე, თბილისი და რუსთაველის პროსპექტი ვნახე, ვნახე მტკვარი და აი, ახლა ამ დიდებულ სტადიონზე ვარ.

— საქართველოზე ბევრი იცით?

— ყოველ შემთხვევაში, ვიცი ქართული კულტურა, ვიცი ქართული ფეხბურთი და ქართული სუფრაც კი. მოსკოვში რომ ვმუშაობდი, ქართველ მეგობრებთან ერთად ქართული ღვინო აი, იმ სასმისითაც დამილევია... ბოლიში, გამახსენეთ, რა ჰქვია?

— ყანწი?

— ყანწი, ყანწით ვსვამდით. ადრე ვარშავაში და მოსკოვში სუხიშვილების კონცერტებზეც ვყოფილვარ და თქვენი ცეკვებით აღფრთოვანებული დავრჩი, შინ, კრაკოვში რუსთაველის წიგნი მაქვს — „ვეფხისტყაოსანი“... აი, ხომ ხედავთ, რამდენი ვიცი თქვენს ქვეყანაზე.

— კიდევ რა იცით?

— კიდევ ის ვიცი, რის გამოც ქართველი ხალხის წინაშე ქუდს ვიხრი — თქვენ უსისხლო რევოლუცია მოახდინეთ. ამის გაკეთება კი ყველა ერს არ შეუძლია. ვიცი, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოში პოპულარული არ იყო და ხალხს ის არ სურდა. პრეზიდენტ სააკაშვილის რეიტინგი კი, ორი საათის ჩამოსული ვარ და დავრწმუნდი, რომ ძალიან მაღალია. საქართველოს ახალი პრეზიდენტი მეც მესიმპათიურება, დიდი ინტელექტის პატრონია, რამდენიმე ენა იცის...

— ქალაქში გასეირნებას, ქართული კერძების დაგემოვნებას ჯერ ვერ მოასწრებდით...

— ჯერ ვერა, მაგრამ მთელი საღამო ხომ წინაა. აუცილებლად უნდა მივირთვა ხინკალი და ხაჭაპური. მოსკოვში ორივე გასინჯული მაქვს.

— კი მაგრამ, ყანწი, ხინკალი, ხაჭაპური ახსენეთ, „ვეფხისტყაოსანი“ შინ გქონიათ, სუხიშვილების კონცერტებს ესწრებოდით. მოსკოვში ხუთი წელი მუშაობდით და ერთხელ მაინც როგორ ვერ მოახერხეთ თბილისში ჩამოსვლა?

— რას იზამ, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. სამაგიეროდ, ჩემი მეუღლე რამდენჯერმეა საქართველოში ნამყოფი და მისგანაც ვიცი, ეს რა ქვეყანაა. აქ ყველა იღიმება, რაც ძალიან მსიამოვნებს.

— ქართული ფეხბურთიც ახსენეთ. გვითხარით ცოტა რამ...

— თუ გნებავთ ბევრსაც გეტყვით. ლოლობერიძე — ხომ იყო ასეთი ქართველი ფეხბურთელი?

— ის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი იყო.

— დიახ. აი, მას და თბილისის „დინამოს“ 50-იან წლებში კრაკოვში „ვისლასთან“ უთამაშიათ. თუ არ ვცდები, ის მატჩი ფრედ დამთავრდა, ლოლობერიძეს კი პოლონელებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მე მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ წამიკითხავს და უთქვამთ, ლოლობერიძე ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყოო. ვინც მინახავს კი, მსოფლიოს მასშტაბით გეუბნებით, დავით ყიფიანი ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. მას მე პლატინის ვუტოლებ, მოხიბლული ვიყავი ყიფიანის თამაშით, მასავით ელეგანტური ფეხბურთელები დღეს აღარ არიან, ყიფიანის პასი, ბურთის ფლობა დღესაც თვალწინ მიდგას. ასეთი ფეხბურთელები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. და კიდევ, ვიცი მეტრეველი, უსწრაფესი გარემარბი, რომლის შეჩერებაც წარმოუდგენელი იყო და ისიც ვიცი, რომ როცა მოსკოვში თბილისის „დინამო“ თამაშობდა, ნახევარი სტადიონი გულში ქართველებს ქომაგობდა. „დინამოს“ პოლონეთშიც ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს.

— დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე რას იტყვით?

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს. არ ვიცი და იმიტომ. რაც ვიცოდი, გითხარით და ახლა რომ დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე ვილაპარაკო, ტყუილს გეტყვით. აგერ, ორი დღის წინ ვნახე „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთი მატჩის ფირი. ესაა, რისი თქმაც შემიძლია.

— „ვისლა“ თქვენი საკუთრებაა?

— არა, მე კლუბის პრეზიდენტი ვარ, პატრონი კი ბოგუსლავ ცუპიაა, რომელიც ძალიან მდიდარი კაცია. მას ელექტრომოწყობილობების დიდი ქარხანა აქვს და ფულსაც ის გამოდის. ფეხბურთი მისი ჰობია და „ვისლადან“ რაიმე მოგების ნახვაზე არ ფიქრობს. თბილისშიც მოდიოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ველარ წამოვიდა.

— „ვისლას“ ფეხბურთელს ხელფასი რამდენი აქვს?

— ამას უკვე არ ვიტყვი, კომერციული საიდუმლოა. მხოლოდ გეტყვით, რომ „ვისლა“ პოლონეთში ყველაზე მდიდარი კლუბია.

— თქვენ დიპლომატიურ საქმიანობას ჩამოშორდით?

— დიახ, ახლა მხოლოდ „ვისლაში“ ვმუშაობ, აქ იმდენი საქმეა, რომ დღე და ღამე გასწორებული მაქვს.

— ყველაზე მდიდარი პოლონური კლუბის პრეზიდენტს ეს უნდა ვკითხო: პოლონური ფეხბურთის ბოლოდროინდელი კრიზისის მიზეზი რა არის? წარმატებები დაგიძველდათ.

— საბერძნეთის მაგალითია ამ კითხვაზე პასუხი. ერთ დღესაც ჩვენებიც აფეთქდებიან და ძველ დიდებას დავიბრუნებთ.

— მაშინ ნაკრების მწვრთნელად რეჰაგელი უნდა დანიშნოთ.

— არაა აუცილებელი, ჩვენც გვყავს კარგი მწვრთნელები.

— ცნობილი პოლონელი ფეხბურთელები ახლა რას საქმიანობენ?

— გაფანტულები არიან, ზოგი სადაა, ზოგი სად. მაგალითად, ლიატო სენატორია, ბონეკი იტალიაში ცხოვრობს, სადაც დიდი ბიზნესი აქვს, კასპერჩაკი, აგერ, თქვენს წინააა... თქვენ ახალგაზრდა ხართ და 1974 წლის პოლონეთის ნაკრები არ გემახსოვრებათ. მიმაჩნია, რომ პოლონეთის მაშინდელი ნაკრები მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო.

— და კიდევ. წლეულს რას გეგმავთ, „ვისლა“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ათამაშოთ?

— ეს ჩვენი მიზანია და ვფიქრობ, საამისო ძალაც გვაქვს.

— გმადლობთ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ წარმატებას ვერ გისურვებთ...

— ქართულ კლუბებსაც „ვისლას“ გარდა ყველასთან წარმატებას ვუსურვებ. საქართველოს კი ტადეუშ ჩერვინსკისგან და მთლიანად „ვისლასგან“ ყოველივე კარგს ვუსურვებ. ჩვენგან დიდი სიყვარული მიიღეთ.

**კობა ინასარიძე**

# უეფას თასი 2004–2005

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

შამქირი. 29 ივლისი. 19 საათი. „შამქირი"

**შამქირი – თბილისი**

# შამქირისთვის 50 პროცენტი საკმარისია

*„თბილისი." რომ ერთ-ერთი მოწინავე ქართული კლუბია, ამაში დიდი წვლილი გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელ გიორგი დევდარიანს მიუძღვის, ვისაც ევროდებიუტი სწორედ „შამქირთან" ჰქონდა. დევდარიანს მორიგი გამოცდა აზერბაიჯანში ელის, მანამდე კი „სარბიელის" შეკითხვებს პასუხობს*



— გუნდში ყველა ჯანმრთელადაა და სავარაუდოდ შამქირშიც იმავე შემადგენლობით ვითამაშებთ, რაც თბილისში, ცვლილებები თუ იქნება, უმნიშვნელო..

— გივი კვარაცხელიას „შამქირთან" თბილისში არ უთამაშია და არც აზერბაიჯანში ითამაშებს?

— კვარაცხელია მთელ 90 წუთს ვერ ითამაშებს, რადგან სამისო ფორმაში ჯერ არ არის — ის სეზონისწინა შეკრებაზე გვიან შემოგვიერთდა.

— შამქირშიც ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებთ?

— „თბილისი" თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ცდილობს და ერთი ფორვარდით არ უთამაშია და არც არასდროს ითამაშებს. შამქირში მეტ ყურადღებას დავუთმობთ საკუთარი კარის უსაფრთხოებას, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შევუტევთ.

— თავისი შესაძლებლობების რამდენი პროცენტის გამომჟღავნება შეუძლია „თბილისს" ამ დროისთვის?

— ჯერ 50 პროცენტის, მეტის მიღწევა ამ დროისთვის შეუძლებელია, რადგან ადამიანის ორგანიზმთან გვაქვს საქმე. ევროპული სტანდარტებით ფეხბურთელი ერთ თამაშში 15-16 კილომეტრს გადის სხვადასხვა სისწრაფეით, „თბილისის" ფეხბურთელებს კი ჯერ მხოლოდ ამის ნახევარი შეუძლიათ, რაც „შამქირისთვის" საკმარისია. ორ წელიწადში კი „თბილისი" თავის შესაძლებლობებს ასი პროცენტით გამოამჟღავნებს.

**დავით თავართქილაძე**

*დღეს „თბილისი" აზერბაიჯანის გზას დაადგა და დაახლოებით ორსაათნახევარში შამქირში ჩავიდოდა. გიორგი დევდარიანის გუნდს პირველი მატჩი მოგებული აქვს და სტუმრადაც ფავორიტი უნდა იყოს, თუმც ეს ევროტურნირია და იოტისოდენა მოდუნებაც ძალიან ძვირად ფასობს.*

*„თბილისი" საინტერესო და მზარდი გუნდი კია, მაგრამ მისი ფეხბურთელების უმრავლესობას მწირი საერთაშორისო გამოცდილება აქვს. რევაზ ქემოკლიძეს კი ევროტურნირებზე ადრეც უთამაშია და ეროვნული ნაკრების წევრადაც ითვლება — მას გუშინ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ*



## შამქირიდან გამარჯვებული დავბრუნდებით ცუდი მინდორი, პაპანაქება, გულშემატკივარი: მზად ვართ ყველაფრისთვის

— „თბილისში" ძალიან კარგი, მოსაგები განწყობაა და შამქირიდანაც გამარჯვებულები ჩამოვალთ.

— ასეთი თავდაჯერებული ლაპარაკის საფუძველს რა გაძლევს?

— „შამქირთან" პირველი მატჩი — აზერბაიჯანელები მთელი გუნდით დაცვაში იჯდნენ, შინ კი ალბათ შეგვიტევენ და ჩვენც მეტი სივრცეები შეგვექმნება საიერიშოდ.

— გავიგეთ, შამქირში ცუდი მინდორია — თქვენი გუნდის სათამაშო სტილისთვის ეს ერთობ არახელსაყრელი ფაქტორია...

— შამქირის მინდორზე ალბათ თამაში შეიძლება, თუმც, როგორც უნდა იყოს, ხელს ვერაფერი შეგვიშლის, ვერც გულშემატკივრის ფაქტორი — ყველანაირი სირთულეების გადასალახად მზად ვართ.

— შამქირული მატჩი იქაური დროით ექვს საათზეა და ალბათ გვარიანი სიცხე იქნება...

— სიცხის გამო პირველ ტაიმში შეიძლება გაგვიჭირდეს, მაგრამ არა მგონია, თბილისზე ბევრად მეტი სიცხე იყოს, სიცხეში თამაშსაც შეჩვეულნი ვართ.

— როგორ ფიქრობ, „შამქირთან" პირველ მატჩში „თბილისმა" თავისი შესაძლებლობების რამდენი პროცენტი აჩვენა?

— დაახლოებით სამოცდაათი, თანაც სასეზონისწინა შეკრების მერე პირველი მატჩის თამაში ადვილი არ არის. ახლა კი „შამქირს" უკვე კარგად ვიცნობთ. „თბილისს" უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე პირველ მატჩში აჩვენა.

— რაც „თბილისში" გადახვედი, მცველად თამაშობ, არადა, ადრე საყრდენ ნახევარმცველადაც ხშირად გითამაშია...

— „თბილისისთვის" დაცვაში უფრო საჭირო ვარ და ამ პოზიციაზე თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ საქმეს თუ დასჭირდა, საყრდენობას „თბილისშიც" შევძლებ.

**დავით თავართქილაძე**

# ამერმა ბულდოგებს ეჯბინე

ჩეხეთში შეკრებაზე მყოფი „ამერის" პირველი მეტოქე კარლოვი ვარის „ბულდოჩი დვორი" იყო. მატჩი თბილისელთა გამარჯვებით, 5:2 დამთავრდა.

მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჩიხრაძის მოთხოვნით, „ამერის" მასპინძლებმა ამხანაგური მატჩებისთვის სპარინგ-პარტნიორები ისე შეარჩიეს, რომ პირველი მეტოქე შედარებით სუსტი ყოფილიყო, მომდევნო მეტოქეები კი უფრო ძლიერი. „ბულდოჩი დვორი" „ჩეშკა ლიგაში" თამაშობს, რაც ჩვენებური რეგიონული ლიგის ფარდია, თუმცა სიძლიერით ისევე აღემატება ქართულ რეგიონალლიგას, როგორც ჩეხური გამბრინუს ლიგა ჩვენს უმაღლესს.

უპირატესობა მეტწილად „ამერისა" იყო და „ბულდოგებმა" მხოლოდ მცირე ხანს, პირველი ტაიმის ბოლო ოცწუთიან მონაკვეთში იყოჩაღეს.

ანგარიში „ამერის" ახალწვეულმა დავით სევასტოპულომ გახსნა მე-14 წუთზე სულიკო დავითაშვილის პასით, რასაც ჩეხებმა პირველ ტაიმში ორი გოლით უპასუხეს. ჯერ მსაჯმა ისეთი პენალტი დანიშნა, „ბულდოგებიც" რომ არ ელოდნენ, მაგრამ „საჩუქარზე" უარი, ცხადია, არ თქვეს. მეორე გოლისას კი ამერელი მცველების შეცდომით ისარგებლეს — კარის გასწვრივ ფლანგური ჩაწოდებისას ამერელთაგან ბურთს არავინ დახვდა და მასპინძლებმა რეზო ნაჭყეპიას, ვინაც პირველ ამერულ მატჩს ატარებდა, ახლოდან გაუტანეს.

შესვენებისას „ბულდოგთა" მწვრთნელმა ერთი ფეხბურთელი შეცვალა, გიორგი ჩიხრაძემ იგივე შემადგენლობა დატოვა, მაგრამ ვითარება მთლიანად შეიცვალა და „ამერი" თამაშის სრულ ბატონ-პატრონად იქცა. სულიკო დავითაშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა, რაც ვერცერთ ამერელს აქამდე ვერ მოეხერხებინა. თუმცა დავითაშვილს კიდევ ორი უნაღდესი მომენტიც ჰქონდა — ჯერ მეკარის ბაქნიდან მეკარეს გაარტყა, მერე კი დაუცველი კარის ბადეს მახვილი კუთხიდან გარედან გაარტყა.

უფრო ნაღდი მომენტი ჰქონდა სევასტოპულოს. ის მეკარესთან პირისპირ გავიდა და მოატყუა, ცარიელ კარს კი ააცილა. მაგრამ სევასტოპულომ თავისი მეორე გოლი მაინც შეაგდო, საჯარიმოთი, შორეული და უძლიერესი დარტყმით.

დღეს „ამერის" ახალგაზრდული შემადგენლობა „ბლშანის" 19-წლამდელებს შეხვდება, 31 ივლისს კი „ამერის" მომდევნო მეტოქე მეორე გამბრინუსლიგელი, მოსტის „სეატ სოუში" იქნება. გუშინ კი „ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, სილაგავა, დეკანოსიძე, ელბაქიძე, კიდარაშვილი, სევასტოპულო, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (მჭედლიშვილი 59).*

**გიორგი დარჯანია**

**„ამერის" პრესსამსახურის უფროსი**

ფეხბურთის კლუბი „მრეტები" სამძიმარს უცხადებს კლუბის პრეზიდენტს, ვაჟა ჩხაიძეს დედის
**ჯულიეტა ჩხაიძის**
გარდაცვალების გამო

თბილისი. 29 ივლისი. 20 საათი. ეროვნული

**დინამო – ბატე**

# კვირკველიამ იქაც იცოდა და აქაც იცის



*ხვალ თბილისის „დინამო" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ბორისოვის ბატეს უმასპინძლებს. დინამოელებს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპამდე ერთი თამაშილა აშორებთ: ბორისოვში 3:2 მოგება საკმაოდ დიდი ფორაა. მომავალ მატჩზე დინამოელთა ერთ-ერთ საუკეთესოფეხბურთელს დავით კვირკველიას ვესაუბრეთ...*

— შეკრებაზე ვართ, განწყობა ნორმალურია, ბელარუსებთან სათამაშოდ საქმიანად ვემზადებით. ბორისოვში ნაჩვენები თამაშის შემდეგ ვალდებულები ვართ, თბილისშიც თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ.

— ბატეს ბარიერი უკვე დაძლეული გგონია?

— არა. ვიცი, რომ თბილისში ძალიან რთული თამაში იქნება, შეიძლება იმაზე რთულიც, რაც ბორისოვში იყო. ბატე თბილისში თავისი საქმის გასაკეთებლად ჩამოვა, თანაც მათ დასაკარგიც აღარაფერი აქვთ. მეტოქის შეუფასებლობა კი არანაირად არ შეიძლება.

— ბატე საკმაოდ ყოჩაღი გუნდია. მისმა ბირთვმა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ითამაშა. შენთვის მოულოდნელი იყო მათი სუსტი თამაში?

— ვერ ვიტყოდი, რომ ბატემ სუსტად ითამაშა. უფრო ჩვენ ვითამაშეთ ძალიან კარგად. ყოველ შემთხვევაში, განუთესავ გუნდებში ყველაზე ძლიერი ნაღდად იყო.

— ბელარუსთაგან ვინ დაგამახსოვრდა?

— ფორვარდი რინდიუკი. მთელი თამაში მასზე აქვთ აწყობილი. კარგად იხსნება და ბევრს მოძრაობს. დამამხსოვრდა ლოშანკოვიც.

— ბორისოვში მატჩი თქვენთვის შოკისმომგვრელად დაიწყო...

— ისეთი გოლები გაგვიტანეს, რომ რა ვიცი... მათ საგოლე მომენტიც არ ჰქონიათ. მიუხედავად 0:2-ისა, მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ თამაშს არ წავაგებდით.

— ახლა „დინამო" უწინდელზე მეტს უტევს... ეს სტილი ცოტა სარისკო ხომ არ არის?

— ეს მე ძალიან მომწონს, მეტი გოლიც გაგვაქვს და საერთოდ, ჩვენი ფეხბურთი ეგაა. თუმცა ბატესთან საპასუხო მატჩში რა ტაქტიკას ავირჩევთ, ეს მარტო გეგუჩაძემ იცის.

— ლადო ახალაიამ თუ ივარჯიშა?

— საბედნიეროდ, ლადოს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ალბათ ბატესთან თამაში შეეძლება.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა მართამ ბუნდესმწვრთნელი გამოაცხო

## კლინსმანმა გერმანიის წმენდა დაიწყო



იურგენ კლინსმანის დედა, ქალბატონი მართა, 64 წლისაა დ პურ-ფუნთუშეულის საკუთარი საცხობი აქვს. მისი შვილი, ზეგ 40 წლისა რომ სრულდება, გერმანიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

დახლთან მოტრიალე ქალბატონი მარტა ახლა უფრო პოპულარული გახდა და მის საცხობს ბლომად ხალხი ეტანება. ყველას აინტერესებს, რას ფიქრობს დედა შვილზე, რომელმაც მძიმე ტვირთი აიკიდა — ბუნდესნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე უნდა ათამაშოს. დედას სჯერა, რომ მისი ვაჟი შეძლებს საქმის კარგად გაძღოლას, რადგან იურგენისთვის დიდი გამარჯვებები უცხო არ არის.

პორტუგალიაში შერცხვენილ გერმანიის ეროვნულ გუნდში კლინსმანი დიდ ცვლილებებს აპირებს. „ბილდის“ ვარაუდით, ოთხ ფეხბურთელს ნაკრებთან გამომშვიდობება მოუწევს.

პირველი კანდიდატი 30 წლის დიტმარ ჰამანია. მიუხედავად იმისა, რომ ევრო 2004-ზე მას ზუსტი პასები დაუთვალეს და 63 პროცენტი შოუგროვდა, ალბათ ახალ ნაკრებში ადგილს დაკარგავს, რადგან კლინსმანისთვის ეს მაჩვენებელი შეფასების კრიტერიუმი არ არის.

მეორე კანდიდატია ჰამანის თანატოლი იენს ნოვოტნი. ცენტრალურ მცველს გამოცდილება არ დაეწუნება, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთისთვის მეტად ნელა მოძრაობს და ამ ასაკში საეჭვოა, რომ ტემპს მოუმატოს.

„ბილდის“ აზრით, ძალიან მცირე შანსი აქვს 32 წლის ფრედი ბობიჩს. ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩებში რამდენიმე გოლი კი გაიტანა, მაგრამ მისი ყაიდის ფორვარდებს ყავლი გაუვიდათ. ბობიჩი და კლინსმანი ერთი კუთხის შვილები არიან, ევრო 1996-იც ერთად მოიგეს, მაგრამ, ბუნდესნაკრების ახალი მწვრთნელის თქმით, ნაცნობ-მეგობრობა არაფერს ნიშნავს.

30 წლის ბერნდ შნაიდერი ფიოლერისეულ გუნდში იყო, თუმც როგორც კი სებასტიან დაისლერი მოყოჩაღდება, შნაიდერიც აიბარგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რაინერ, სად არის ფული?



„ლევერკუზენის“ გენერალური მენეჯერი რაინერ კალმუნდი თაღლითობაში ამხილეს. სკანდალი ორი ფეხბურთელის ტრანსფერმა გამოიწვია და ეს ამბავი 1999 წელს დაიწყო.

ოთხი წლის წინ „ლევერკუზენმა“ ხორვატიული „ოსიეკიდან“ იურიცა ვრანიეში და მარკო ბაბიჩი შეიძინა. ერთი სატრანსფერო ფურცლის თანახმად, გერმანელებმა ვრანიეშის სანაცვლოდ 2 მილიონ 500 ათასი გერმანული მარკა, ბაბიჩის სანაცვლოდ კი 3 მილიონ 500 ათასი გადაიხადეს.

ეს გარიგება 1999 წლის 24 ნოემბერს შედგა, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ არსებობს კიდევ ერთი სატრანსფერო ფურცელი, რომელშიც სრულიად სხვა თანხაა ჩაწერილი. ვრანიეში 3 მილიონ 300 ათას მარკად, ბაბიჩი კი 10 მილიონადაა შეფასებული. გარდა ამისა, მითითებულია „ლევერკუზენ“—„ოსიეკის“ ამხანაგური მატჩის გასამართად დახარჯული თანხის (450 000 მარკა) რაოდენობა — სულ 13 მილიონ 750 ათასი მარკა.

საქმე შვეიცარიული ბანკიდან „გასკდა“. „ოსიეკის“ პრეზიდენტ ანტუნ ნოვალიჩის სახელზე გადარიცხულმა ფულმა დანიშნულების ადგილზე ვერ მიაღწია, ხოლო ნოვალიჩი ხორვატიულმა მართლმსაჯულებამ 2000 წელს ფინანსური ხრიკების გამო დააპატიმრა.

2002 წელს კიოლნის საქალაქო სასამართლომ რაინერ კალმუნდის წინააღმდეგ საქმე აღძრა, მაგრამ გენერალური მენეჯერი როგორღაც გამოძვრა და გამოძიება შეწყდა.

კალმუნდის საქმე ამ ზაფხულს ხელახლა გაიხსნა და მას 13 მილიონ 750 ათას მარკას ედავებიან.

სად წავიდა ფული? ამ კითხვაზე გენერალური მენეჯერი მშვიდად პასუხობს: „6 მილიონიანი კონტრაქტი მხოლოდ ჩვენი შეთავაზება იყო, რეალურად კი მოლაპარაკების შემდეგ 13 მილიონ 750 ათასი გადავიხადეთ. მე ბრალი არ მიმიძღვის და ეს რაც ხდება, გაუგებრობაა“.

ორივე კონტრაქტს რაინერ კალმუნდის ხელწერა ამშვენებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ანგელოს ხარისტეასმა ევრო 2004-ზე სამი გოლი გაიტანა: ჯგუფში ესპანეთთან, მეოთხედფინალში საფრანგეთთან და ყველაზე მთავარი, ფინალში პორტუგალიასთან. ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი წინა სეზონში აილტონის ჩრდილში იყო და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ახლა „ვერდერს“ ევროპის ჩემპიონად დაუბრუნდა. აილტონიც „შალკეში“ წავიდა და ხარისტეასიც მეტად დაფასდება. შვებულებამოვლილმა ბერძენმა გერმანულ „კიკერთან“ ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ოტო რეჰაგელი მამად მოიხსენია

# ანგელოს ოტოს ძე ხარისტეასი

## ევროპის ჩემპიონი ვერდერის სკამს დაუბრუნდა

— როგორ დაისვენა ევროპის ჩემპიონმა ხარისტეასმა?

— შვებულება ოჯახთან ერთად გავატარე. ასეთი დიდი წარმატების შემდეგ ჩვენი ნაკრების ნებისმიერ ფეხბურთელს, ვფიქრობ, დასვენების და თითო ჭიქა ღვინის დალევის უფლება ჰქონდა.

— ზღაპრიდან რეალობაში დაბრუნება გაგიჭირდათ?

— არა. ოჯახური სიამტკბილობა დროებით დასრულდა. ახლა მუშაობის დროა და უკვე „შალკესთან“ პირველი ტურის მატჩისთვის ვემზადები.

— „ვერდერი“ კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს?

— რა თქმა უნდა. ძალიან გამიხარდა, რომ იოან მიკუმ კონტრაქტი 2007 წლამდე გააგრძელა. მასთან ერთად კიდევ შევძლებთ ჯილდოების მოგებას, რადგან მიკუ გუნდის გულია და მე, როგორც ფორვარდს, ასეთი გამთამაშებლის პასები მჭირდება.

— აილტონი მიროსლავ კლოზემ შეცვალა. შეტევაში მეწყვილედ კლასნიჩს ისურვებდით თუ კლოზეს?

— მე სათამაშოდ ასი პროცენტით მზად ვარ. მეწყვილე კი ჩემი ასარჩევი არაა. ორივე მაღალი კლასის ფეხბურთელია და მწვრთნელი გადაწყვეტს, ვინ ვისთან ერთად ითამაშებს.

— პორტუგალიაში წახვედით როგორც „ვერდერის“ სათადარიგო ფორვარდი...

— მართალია და ამიტომაც მსურდა, ყველასთვის ჩემი ძალა დამემტკიცებინა, რაც ბრწყინვალედ მოვახერხე. სათადარიგო წავედი, ჩემპიონად დავბრუნდი.

— სანამ თქვენ ისვენებდით, კლოზე და კლასნიჩი შეთამაშდნენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება კვლავ გაგიჭირდებათ?

— კონკურენციის არ მეშინია. თომას შააფს უკვე ველაპარაკე და ყველაფერი გავარკვიე. პორტუგალიაში გამგზავრებამდე ვუთხარი, რომ ნაკრებში ჩემს შანსს გამოვიყენებდი და სიტყვა კიდეც შევასრულე. „ვერდერშიც“ იგივეს ვაპირებ.

— შააფისგან მეტი სათამაშო დროის გარანტია მიიღეთ?

— ეს უკვე ჩემზეა დამოკიდებული. მე გოლების გატანა მევალება და თუ საქმე კარგად აეწყო, შრომას ალბათ დამიფასებენ.

— თუ ვერ აეწყო, გუნდიდან წასვლაზე იფიქრებთ?

— „ვერდერში“ ახლა ჩემი დრო მოვიდა. გასულ სეზონში აილტონ-კლასნიჩის წყვილი ხარობდა და სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ხმას ამიტომაც ვერ ვიღებდი.

— და რას ფიქრობდით მაშინ?

— საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ მათზე ნაკლები არ ვარ.

— პორტუგალიაში რეჰაგელის ჯილა გახდით. შეძლებთ კი იგივეს მომავალ სეზონში შააფთან?

— ამ ორ კაცს ერთმანეთს ვერ შევადარებ. რეჰაგელი მამად მიმიღია, შააფი კი მხოლოდ მწვრთნელია. მათ განსხვავებული ხასიათი აქვთ.

— გაგიხარდათ, რეჰაგელმა საბერძნეთთან კონტრაქტი რომ გააგრძელა?

— რა თქმა უნდა, ნაკრების ფეხბურთელები ხომ მას ბოლომდე ვენდობით.



ანგელოს ხარისტეასის საჩემპიონო თავური

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს ინგლისია, სვენ!

## ერიკსონს სექსი და ტაქტიკა გაურჩიეს და ალბათ გადაირჩევენ

**ინგლისი, ალბათ, მალე დაისვენებს, იმის თქმა გვინდა, რომ შვედი სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად ალბათ ველარ დარჩება. არადა, წელიწადში 4 მილიონ გირვანქას უხდიდნენ და პლუს პრემიებს ანუ ბონუსებსაც აუცილებლად გამოჰკრავდა ხელს, ისე როგორ იქნებოდა**



მაგრამ დღეს ინგლისში ყველაფერი მის წინაალმდეგაა მიმართული. თავად სვენი შვედეთშია და ლონდონის ქცევას იქიდან აპროტესტებს. ჩემს პირად ცხოვრებაში ცხვირს რა უფლებით ყოფენო, მაგრამ საეჭვოა, პროტესტმა ინგლისის გამძვინვარებული საფეხბურთო შეფები დააოკოს. შეგახსენებთ, რაც ხდება: ინგლისურმა ყვითელმა პრესამ გამოქექა, რომ ერიკსონს ფეხბურთის ასოციაციის მდივან ქალთან, 38 წლის ფერია ელამთან ჰქონდა ფარული რომანი, იმავდროულად ქალბატონი ელამი იყო ცნობილი, როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელი შეფის, ერიკსონის უშუალო უფროსის, მარკ პელიოსის საყვარელი. ბუნებრივია, შეიქმნა უხერხული ვითარება. პრესის ბრალდებას თუ განცხადებას პასუხი სჭირდებოდა და ამიტომაც მიადგნენ ასოციაციის ხელმძღვანელები სვენს, მედიას რა პასუხი გავცეთო, შვედმა თქვა, რომ მას და ქალბატონ ელამს შორის არაფერი ყოფილა, რაც ასოციაციის ოფიციალურ განცხადებად იქცა და.... გაირკვა, რომ ტყუილი ყოფილა. მოკლედ, სვენმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ტყუილი ათქმევინა — ასეთია განრისხების ოფიციალური საბაბი.

### ერიკსონის შესაძლო შემცვლელები



სტივ მაკლარენი



მარტინ ონილი



არსენ ვენგერი



ოტმარ ჰიცფელდი

დაგვეთანხმებით, ეს საბაბი მთლად ხელწამოსკრავი არ არის. ერთი, ეს ტყუილია, მეორე ის, რომ უშუალო უფროსს ქალი შეუცდინა და მალულად საყვარლობდა კიდეც და მესამეც, ეს უკვე მესამე არასაფეხბურთო უხერხულობა იყო, რომელშიც ბატონი ერიკსონი ინგლისში გაეხვია. გავიხსენოთ წინა ორი: მისი რომანი შვედ ტელეწამყვან ულრიკა იონსონთან მუდმივი პარტნიორის, ნენსი დელოლიოს ზურგსუკან და მისი მოლაპარაკებები „ჩელსის" შეფთან რომან აბრამოვიჩთან, რომელშიც შესაძლოა, ცუდიც არაფერი იყო, მაგრამ საგულდაგულოდ იმალებოდა და ტაბლოიდებმა „გაუხეთქეს". და კიდევ ერთი: ინგლისი ის ქვეყანაა, სადაც ეროვნული ნაკრების წინა ორი მწვრთნელი, გლენ ჰოდლი და ტერი ვენეიბლზი ფეხბურთთან აბსოლუტურად დაუკავშირებელი ამბების გამო მოხსნეს თანამდებობიდან. ჰოდლმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ინვალიდები წინა ცხოვრებაში ცუდი ადამიანები იყვნენ და ახლა ამიტო ისჯებიანო (ეტყობა მომავალ ცხოვრებაში თვითონ მოვა ინვალიდად), ხოლო ვენეიბლზმა სატრანსფერო აქტიურობით გაალიზიანა ხალხი.

მაგრამ, გვერწმუნეთ, ერიკსონის საწინააღმდეგო ტალღა აუცილებლად არის დაკავშირებული ფეხბურთთან ანუ წმინდა სპორტულ მიზეზებთან. წარმოიდგინეთ, შვედს 2002 წელს მსოფლიოს, 2004-ში კი ევროპის ჩემპიონის ტიტულები რომ მოეგო, ვითომ, ამ შემთხვევაში ვინმე გააგდებდა შეფის ქალთან სექსის გამო სამსახურიდან? თუმცა, ვინ იცის. ერთი კია, რომ ამ დღეებში ინგლისის ფეხბურთის ასიცაციამ მოისმინა ექსპერტის, სერ ტრევორ ბრუკინგის მოხსენება ეროვნული გუნდის ევრო 2004-ზე გამოსვლასთან დაკავშირებით და უნდა ითქვას, რომ ბრუკინგს (თუ გახსოვთ, იმ „ვესტ ჰემში" თამაშობდა, 1981 წლის გაზაფხულზე თასების თასის მეოთხედფინალიდან თბილისის „დინამომ" რომ გამოთიშა) კარგი არაფერი უთქვამს.

ტრევორ ბრუკინგმა ხაზი გაუსვა, რომ მეოთხედფინალში პორტუგალიასთან ინგლისმა გოლი შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

„ჩვენ უნდა ვიკითხოთ, რატომ იჯდა გუნდი ასეთ ყრუ დაცვაში, როდესაც უპირატესობა მისი იყო და რატომ იყვნენ ფეხბურთელები ასეთ დიდ ფართობზე გაწელილნი? ჩვენ ბურთი ვერ შევინარჩუნეთ და პასები არ გვივარგოდა. ეს კი დაწინაურებული გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია".

შემდეგ ბრუკინგმა ბრძანა, რომ პირველ შეხვედრაში, საფრანგეთთან ინგლისმა ითამაშა ისე, როგორც საბერძნეთმა მთელი ჩემპიონატის მანძილზე.

„მაგრამ ჩვენ ინგლისი ვართ და ეს ჩვენს მუდმივ ტაქტიკად შეუძლებელია იქცეს".

სვენის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდივ მარჯვენა მცველმა, კოენმაც, მან ისევ მორალზე გაამახვილა ყურადღება:

„მისი საქციელი ინგლისის ნაკრების მწვრთნელს არ ეკადრება. მისი ქცევა სხვებისთვის სამაგალითო უნდა იყოს, მაგრამ არ არის... სერ ალფი (საუბარია 1966 წლის ნაკრების მწვრთნელ ალფ რამსეიზე) ასეთ რამეს არასდროს გააკეთებდა. ჩვენ მთელი ყურადღება ფეხბურთზე გვქონდა გადატანილი.... ერიკსონი ინგლისის ნაკრებს ჩემპიონობამდე ვერ მიიყვანს" — და ასე შემდეგ.

მაშ ასე, სვენ გორან ერიკსონს, ალბათ, უშვებენ, რაც — ამ სიტყვის ფულადი გაგებით — ძალიან ძვირი დაუჯდებათ, მაგრამ ვის მოიყვანენ?

—ამწუთას ოთხი კაცი ახსენეს: სტივ მაკლარენი, არსენ ვენგერი, მარტინ ონილი და ოტმარ ჰიცფელდი. ესქსპერტების ვარაუდით, მათი შანსები პროცენტებში ასეთი: 37, 58, 76 და 56.

**ირაკლი ძუტუბიძე**

# ბუტრაგენიომ ვიეირა ტოკიოში გაამხილა

## რაულს იაპონია ესპანეთში აერია



მადრიდის „რეალი" იაპონიაშია. „სამეფო გუნდი" ამომავალი მზის ქვეყანაში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ხვალ „ჯეფ იუნაიტედს" შეხვდება, კვირას კი „ტოკიო ვერდის", რომელსაც არგენტინელი ოსვალდო არდილესი წვრთნის.

ტოკიოში გუნდს ახლავს ტექნიკური დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო. მას პატრიკ ვიეირას ტრანსფერზე ჰკითხეს, ბუტრაგენიოს პასუხი ასეთი იყო: „დიახ, ჩვენ ფრანგის გადმოყვანა ძალიან გვსურს. იგი „რეალისთვის" მეტად საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ ეს საქმე იოლად მოსაგვარებელი არაა. ვფიქრობ, რომ ვიერასთან დაკავშირებით ეს კვირა გადამწყვეტი იქნება".

იაპონიაში ჩასულმა მადრიდელებმა მასპინძლებისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურეს. სამეფო გუნდს იქ ყოველთვის გულღიად ხვდებოდნენ.

რაულმა იაპონიას „რეალის" მეორე სამშობლო უწოდა: „უკვე იაპონიაში დავბრუნდით, ესე იგი, ისევ შინ ვართ, რადგან თავს უცხოდ არ ვგრძნობ. გულშემატკივრებს ლამაზი ფეხბურთით დავატკბობთ. ყველაფერს ვიღონებთ, რომ სტადიონზე მოსულ ხალხს ვასიამოვნოთ".

ბუტრაგენიო: „იაპონიაში სტუმრობა სასიამოვნო ტრადიციად იქცა. აქაურები განსაკუთრებულად გვმასპინძლობენ".

ხოსე ანტონიო კამაჩოც აქებს ტოკიოელებს შესანიშნავი დახვედრისთვის და ამბობს, რომ „რეალს" იაპონური ტურნე ძალიან წაადგება: „აზიაში გამართული შეხვედრები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლად დაგვეხმარება. გულთბილი მიღებით აღფრთოვანებული ვარ. მადრიდის „რეალს" მთელს მსოფლიოში ჰყავს გულშემატკივარი, თუმც იაპონელები მაინც გამორჩეულნი არიან".

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუნის დანიშნული გაექცა

## კოლინმა, მექავთმოყვარულ უეინთან ვერ ვიცხოვრებო

*ინგლისში მორიგი სასქესო შოკია: ქვეყნის იმედი, ევრო 2004-ის გმირი და აშკარა ვარსკვლავი, 18 წლის უეინ რუნი მეძავთან ყოფილა, რამაც მის საცოლეს, მის ტოლ კოლინ მაკლაფლინს გული გაუხეთქა. ამბობენ, რომ გოგონამ საქმრო მაგრად შეჯორა, საქმრომ კი დანაშაული აღიარა და პირობა დასდო, რომ ეს აღარ განმეორდება. დადგინდა, რომ რუნის მეძავის მომსახურეობაში 140 გირვანქა გადაუხდია... ან უნდოდა გადაეხადა.*

დავაზუსტოთ, კოლინ მაკლაფლინი რუნისთან ერთად მათ 900 ათას გირვანქად შეფასებულ სახლში ცხოვრობს. მისამართია მერსისაიდი, ფორმბი. მოკლედ, დაახლოებით ლივერპულის მცხეთაა.

მაგრამ აი, მოვუსმინოთ იმ ადამიანს, რომელმაც რუნი — მაკლაფლინის ამბისა ყველაფერი კარგად იცის. „კოლინი სულ გაგიჟდა. ის ტიროდა და უეინს უკიოდა. იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ ურტყამდა კიდეც, უეინი კი ემუდარებოდა, არ დამტოვოო. ეფიცებოდა, რომ მსგავსი არასდროს განმეორდება, თუმცა კოლინს არაფრის გაგონება არ უნდოდა. ის რუნის ყველაფერში ერთად სდებდა ბრალს. ერთი სიტყვით, ამ წუთას ორივენი თავთავიანთ მშობლებთან ცხოვრობენ".

ყოვლისშემტყობი „სანის" ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ კოლინმა დაქალობკებს უთხრა, კაცთან, რომელიც პუტანებში დადის, ვერ ვიცხოვრებო.

დანამდვილებით არის ცნობილი, რომ უეინი საათობით სტიროდა, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. არ ელაპარაკებიან ერთმანეთს მშობლებიც. უეინის დაწყნარება დედამისს ძალიან კი უცდია, მაგრამ ბიჭი ლიმონივით ყოფილა გამოწურული. მოკლედ, რაც მოხდა, ძალიან დიდი დრამა იყო.

არადა, უეინი და კოლინი (რომლებიც დაქორწინებას მომავალ ზაფხულს აპირებდნენ) ბარბადოსსა და ნიუ იორკში გატარებული ორკვირიანი მოგზაურობიდან სულ ახალი დაბრუნებულები იყვნენ.

ახლა კი გავიცნოთ შარლოტ გლოვერი, მშვენიერი, გრძელფეხება ასული, რომელსაც ტყუპისცალი, კეტი ჰყავს და, როგორც თავად ამბობს, ლივერპულის LA FEMME ESCORT AGENCY-ში მუშაობს საათში 140, ღამეში კი 500 გირვანქად. საინტერესოა, რომ ხსენებული სააგენტოს 42 წლის მენეჯერმა სუ ტომპსონმა ამის პასუხად



განაცხადა, რომ მაშინ,. როდესაც ეს ამბავი მოხდა, ტყუპები მასთან არ მუშაობდნენ.

რას იტყვით, გაინტერესებთ, როდის მოხდა ეს ამბავი? თითქოს მთლად ამ დღეებისა არ გამოდის, ხომ? ნუ ვიჩქარებთ, ბოლოს იყოს.

ამბავი კი ასეთია, უეინ რუნი და ბიჭები გასართობად წავიდნენ. უეინმა გრძელფეხება შარლოტი სასტუმროში დაიმარტოხელა და მოილხინა. ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ ვაჟმა ისევ ნახა ქალი, თუმცა რა ნახვა უნდოდა, პუტანა ხომ ლივერპულის „ჯოლი როჯერ" პაბში იდგა. ნახვით კი ნახა ვაჟმა ქალი, მაგრამ შარლოტმა, როგორც ირკვევა, უარი უთხრა.

„ვუთხარი, რომ მასთან ყოფნა არ მინდოდა, მაგრამ არ მომეშვა. მე უარს ვეუბნებოდი, რადგან გულის სიღრმეში თავს დამცირებულად ვგრძნობდი. ჩვენს შორის ხომ ყველაფერი ერთ საძაგელ სააბაზანოში მოხდა. ვგრძნობდი, რომ ჩემი მეძავობა იცოდა და მხოლოდ ასე აღმიქვამდა. მისთვის ჩემს გარეგნობას და სინაზეს მნიშვნელობა არ ჰქონდა. როდესაც კიდევ ერთი უარი ვუთხარი, ფული შემომთავაზა. თავი საზიზღრად, ზნედაცემულად ვიგრძენი" — განაცხადა ზნედაცემულმა „სანთან" საუბრისას. ამის შემდეგ რუნის მისთვის დაშხოშიანი ინგლისურით უგინებია.

დახეთ, კიდევ რა თქვა მეძავმა: „ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის სექსში ფულს იხდიდა და თან გოგოს ეტრფოდა. ის ორგული ადამიანია".

საინტერესოა, რომ რუნის შარლოტისთვის სამახსოვროდ დაუწერია... თუმცა, ჯობს არ ვთარგმნოთ, რადგან საქართველოში გაზეთებს 16 წლამდე ბავშვებიც (რუნიზე ახალგაზრდებიც) კითხულობენ.

და ბოლოს (ვისაც უნდა გაოცდეს): რუნი მეძავ შარლოტთან 2002 წლის დეკემბერში იყო.



ეს მდიდრული სასახლე კოლინმა გაცოფებულმა დატოვა



**ირაკლი ქუტუზიძე**

# უსოლოდ არსენალი



„არსენალის" სეზონწინა გაუგებრობანი გრძელდება. ახალი ცნობა, რომელმაც ინგლისის ჩემპიონი დაზაფრა, სოლ კემპბელის ტრავმაა — ინგლისის ნაკრების ცენტრალურ მცველს აქილევსის მყესი გაწყვეტია და ამის გამო შესაძლოა, ჩემპიონატის პირველი მონაკვეთი გამოტოვოს.

კემპბელი არსენ ვენგერის ვარჯიშებს მხოლოდ ამ უქმეებზე შეუერთდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, უკვე ხელი მოეცარა და დაშავდა. ერთი სიტყვით, „მეთოფეთა" გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, როგორც ჩანს, ამსტერდამის ტურნეს გამოტოვებს და შესაძლოა 8 აგვისტოს, „მანჩესტერ იუნაიტედს" „ჩერითი შილდის" შეხვედრაში ვერ ეთამაშოს.

„არსენალის" პრესმდივანი: „სოლს აქილევსის მყესი სტკივა და ავსტრიულ შეკრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, სამაგიეროდ, იგი გუნდის ფიზიოთერაპევტებთან იმუშავებს. ჩვენი ექიმები მის მდგომარეობას ყურადღებით აკვირდებიან".

**პაპუნა ძედია**

# ლიპის ყველას ნაკრები



**იტალიის ნაკრების** ახალი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი, ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. როგორც ირკვევა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად „იუვენტუსის" ყოფილ თავკაცს თაობათა შერწყმა მონდომებია.

„ნაკრებს შეუერთდება ოთხი ან ხუთი მოთამაშე იმ ნაკრებისა, რომელიც აგვისტოში ოლიმპიადაზე მიემგზავრება" — უთხრა ლიპიმ „რადიო რადიოს", ოღონდ სახელები და გვარები არ დაუსახელებია. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა ალბერტო ჯილარდინოს და დანიელე ბონერას.

მარჩელო ლიპის დებიუტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში 18 აგვისტოს, ისლანდიელების წინააღმდეგ შეხვედრაში შედგება.

„ვინ ითამაშებს? ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან მუშაობა მხოლოდ ახლა დავიწყე. შემადგენლობის შესარჩევად და გადასაწყვეტად რამდენიმე კვირა კიდევ მაქვს" — ბრძანა ლიპიმ, რომელმაც, სხვათა შორის, დასძინა, რომ იგი არ დაივიწყებს ბერნანდო კორადის, სტეფანო ფიორეს და მარკო დი ვაიოს, რომლებიც იტალიიდან ესპანეთში გადაბარგდნენ და ამ სეზონს „ვალენსიაში" გაატარებენ.

„უცხოეთში მოთამაშე იტალიელებს თვალს არ მოვაცილებ. რა განსხვავებაა თვითმფრინავი ვალენსიაში წაგიყვანს თუ ტურინში"?

შემდეგ ლიპიმ დასძინა, რომ ამ ზაფხულს, ევრო 2004-ზე დამარცხება „სკუადრა აძურას" შესარჩევ ტურნირს დაღს ვერ დაასვამს.

„ნამდვილად არ მგონია, რომ იტალიელი ფეხბურთელები დაკომპლექსდებიან და პირველობის ჟინს დაკარგავენ" — განმარტა თავისი პოზიცია ტაქტიკოსმა, რომელსაც ძალიან ხშირად ეუბნებიან, რომ ახალი ნაკრები ფრანჩესკო ტოტისა და ანტონიო კასანოს თამაშზე იქნება აგებული.

„ნაკრები ყველასია და არა მხოლოდ „რომას" მოთამაშეების" — აცხადებს ლიპი პასუხად.

**პაპუნა ძედია**

# ჩელსი გაპორტუვდა



## აბრამოვიჩმა კარვალიუში 30 მილიონი გაისროლა

„პორტუს“ მცველი რიკარდუ კარვალიუ ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა. რომან აბრამოვიჩმა მაურინიუს თანამემამულის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაიხადა.

„ჩელსიში“ ამ ზაფხულს „პორტუდან“ გადაბარგებულმა ჟოზე მაურინიუმ აბრამოვიჩს კარვალიუმდე პაულო ფერეირაც აყიდინა.

აქვე გავიხსენოთ, რომ რიკარდუ კარვალიუს შეძენა მადრიდის „რეალს“ 7 მილიონ ევროდ სურდა, მაგრამ პორტუგელებმა რუსი მილიარდერისგან ოთხჯერ მეტი მიიღეს.

მოკლედ, კლუბები ფასზე მორიგდნენ, ახლა ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის პირობებილა დარჩა შესათანხმებელი და აბრამოვიჩი ალბათ, ამ მხრივაც არ იძუნწებს.

**გაჟა ხუციშვილი**

# ლაპორტა ლიონიდან ედმილსონით დაბრუნდა

„ლიონის“ ბრაზილიელი მცველის, ედმილსონის „ბარსელონაში“ გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

„ფეხბურთელმა და „ბარსელონამ“ კონტრაქტის პირობები უკვე შეათანხმეს. ახლა კლუბებს შორის გარიგების დეტალებილაა დასაზუსტებელი. გუშინწინ სალამოს ხუან ლაპორტა ლიონში ჩამოვიდა და აქ ვისაუბრეთ“ — განაცხადა ფრანგთა პრესმდივანმა ოლივიე ბლანმა.



28 წლის ედმილსონი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონია, „ლიონთან“ ერთად კი სამჯერ ზედიზედ საფრანგეთში ოქრო მოიგო.

ფეხბურთელის „ბარსელონაში“ გადასვლის თაობაზე ლაპარაკი ერთი კვირის წინ დაიწყო და თავად ბრაზილიელმა „ნოუ კამპზე“ გადაბარგების სურვილი მაშინვე გამოთქვა.

**გაჟა ხუციშვილი**

# ბოლტონი იეროს გამოცდილებას დახარბდა

ფერნანდო იერო, მადრიდის „რეალის“ ყოფილი კაპიტანი, უახლოეს დღეებში სავარაუდოდ ინგლისური „ბოლტონის“ ფეხბურთელი გახდება. „ჩვენ უკვე ვესაუბრეთ იეროსა და მის აგენტს და გეტყვით, რომ ფერნანდო „ბოლტონში“ თამაშის პერსპექტივით ფრიად კმაყოფილია“ — განაცხადა ალბიონური კლუბის მენეჯერმა სემ ალარდაისმა.

იერო მადრიდის „რეალში“ 1988-89 წლების სეზონში ჩაირიცხა და იქ 14 წლიანი დაუვიწყარი საფეხბურთო ეპოქა შექმნა. სამეფო გუნდის მაისურით ხუთჯერ ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო, სამჯერ ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ კოპა დელ რეი, ოთხჯერ ესპანეთის სუპერთასი, ერთხელ ევროპის სუპერთასი, ორჯერ კი საკონტინენტთაშორისო თასი... მთელი თავისი მადრიდული კარიერის განმავლობაში იქაურ ინჩასთა სათაყვანებელი კერპი გახლდათ. 2003 წლის ივლისში კი ფერნანდომ „რეალის“ უფროსობასთან მომხდარი კონფლიქტის გამო გუნდიდან წავიდა და ყატარულ ლიგას, კერძოდ კლუბ „ალ რაიანს“ მიაშურა. „იერო დიდებული ფეხბურთელია და მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში სათანადო დონის ჩემპიონატში არ უთამაშია, მისი ჩვენთან გადმოსვლით „ბოლტონი“ დიდად იხეირებს. ფერნანდოს გამოცდილება და ოსტატობა გუნდის დაცვის გაძლიერებაში დაგვეხმარება“ — დასძინა სემ ალარდაისმა.

**ლადო ხომერიკი**

## ამხანაგური მატჩი

**სელტიკი 1:5 ლივერპული**

0:1 რიისე (5), 0:2 ოუენი (17), 0:3 სისე (62), 0:4 ანშო (69), 1:4 ბიტი (72), 1:5 სისე (76)

**სელტიკი:** დ. მარშალი, კათბერტი, უ. ლაურსენი (ს. პეტროვი 46), ვალგაერენი, ვარგა, პირსონი, მაკგრედი (აგატი 46), მაკნამარა, ა. ტომპსონი, დ. ფერნანდესი (ბიტი 46), ჰარტსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**ლივერპული:** კირკლანდი, ფინანი, ჰიიპია, კარაგერი (ანშო 46), რიისე, შმიცერი (დიაო 46), ჰამანი (მერფი 46), ბიშკანი (ჯერარდი 46), კიუელი (ლუირნოკი 69), ოუენი (სინამა-პონგოლე 46), ბაროში (ჯ. სისე 46)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ტომპსონი

მსაჯი: ალექს პრუსი (აშშ)

24 271 მაყურებელი

## შვედეთი

**ალსვენსკა. XIII ტური**

**ჰელსინგბორგი 3:0 აიკ**

**გიოტებორგი 1:1 ლანდსკრონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 13 | 7 | 5 | 1 | 20:6 | 26 |
| ჰამარბი | 12 | 8 | 2 | 2 | 15:7 | 26 |
| ჰალმსტადი | 12 | 7 | 3 | 2 | 27:15 | 24 |
| კალმარი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:12 | 20 |
| გიოტებორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:10 | 19 |
| სუნდსვალი | 13 | 4 | 6 | 3 | 14:13 | 18 |
| იურგორდენი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:21 | 16 |
| ელფსბორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 9:15 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 23:18 | 14 |
| იორგრიტე | 13 | 2 | 7 | 4 | 13:17 | 13 |
| აიკ | 13 | 3 | 4 | 6 | 9:15 | 13 |
| იორებრო | 13 | 3 | 4 | 6 | 16:29 | 13 |
| ლანდსკრონა | 13 | 2 | 6 | 5 | 13:17 | 12 |
| ტრელებორგი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:20 | 9 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XV ტური**

**ვოლერენგა 1:2 ლინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 15 | 8 | 5 | 2 | 31:18 | 29 |
| ტრომსიო | 15 | 9 | 1 | 5 | 26:17 | 28 |
| ლილესტრიომი | 15 | 7 | 5 | 3 | 33:15 | 26 |
| ჰამ კამი | 15 | 7 | 4 | 4 | 23:21 | 25 |
| ვოლერენგა | 15 | 6 | 5 | 4 | 16:15 | 23 |
| ლინი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:15 | 22 |
| ბრანი | 15 | 7 | 1 | 7 | 27:27 | 22 |
| ოდ გრენლანდი | 15 | 5 | 6 | 4 | 27:24 | 21 |
| მოლდე | 15 | 4 | 6 | 5 | 19:21 | 18 |
| სტაბეკი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:22 | 18 |
| ვიკინგი | 15 | 3 | 7 | 5 | 14:21 | 16 |
| ბოდიო გლიმტი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:28 | 15 |
| სოგნდალი | 15 | 3 | 5 | 7 | 24:30 | 14 |
| ფრედრიკსტადი | 15 | 2 | 3 | 10 | 21:37 | 9 |




**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა“ უკრაინელი თავდამსხმელი სერგეი რებროვი გადაიბირა და ფეხბურთელთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. 31 წლის ფორვარდი ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია: „ვესტ ჰემის“ თამაშებს ტელევიზორით ყოველთვის ვუყურებდი და როდესაც საშუალება მქონდა, სტადიონზეც დავდიოდი. ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა რა ბედნიერი ვარ“ — თქვა რებროვმა.

**ფრანგული** „მონაკო“ „ბარსელონაში“ გადაბარგებულ ლუდოვიკ ჟიულის შემცვლელს ეძებს, ერთ-ერთი კანდიდატი კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ კაპიტანი დმიტრი ლოსკოვია. ფრანგთა თავკაც დიდიე დეშანს 30 წლის რუსისთვის შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მიუქცევია ყურადღება, როცა „ლოკომოტივი“ „მონაკოს“ ეთამაშა. კლუბებს შორის მოლაპარაკებები მალე დაიწყება.

**ინგლისური** „ჩელსი“ ტურინის „იუვენტუსს“ „პარმას“ ახალგაზრდა მცველ დანიელე ბონერაში ეცილება. ბონერა რა ხანია, „ბებერი ქალბატონის“ სამიზნეა, მაგრამ „პარმასთან“ ფასზე საბოლოო შეთანხმებას ვერ ახერხებს. „არისტოკრატები“ კი იტალიელი მცველის სანაცვლოდ 4,6 მილიონი გირვანქის გალებას აპირებენ.

**ესპანური** „ვალენსია“ კიდევ ერთი ლეგიონერით გაძლიერდა: ჩემპიონებმა 5 მილიონ ევროდ ფრანგული „ბორდოსგან“ პორტუგალიელი მცველი მარკუ კანეირა შეიძინეს და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

**რუსული** „დინამოს“ უფროსობამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიქტორ ბონდარენკო დატოვა. იცით, მან პოსტზე ცოტა ხნის წინ ჩეხი იაროსლავ გჟებიკი შეცვალა. ბონდარენკოს თანაშემწეობას წარსულში ცნობილი მეკარე ნიკოლაი გონტარი და ანდრეი კობელევი გაუწევენ.

**პორტუგალიურ** პრესაში ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ინფორმაციას, პლეიმეიკერი მანუელ რუი კოშტა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა და უკვე ორწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელიო, „მილანის“ ხელმძღვანელობამ დიდი სისულელე უწოდა. „ძალიან გვაღიზიანებს ასეთი ჭორები. რუი კოშტა არ იყიდება და კარიერას „მილანში“ გააგრძელებს. გუნდიდან მისი წასვლა გამორიცხულია“ — თქვა „შავ-წითელთა“ სპორტულმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ.

**იტალიური** „რომას“ ნახევარმცველი დამიანო ტომაზი ინგლისურ „სტოკ სიტისთან“ ამხანაგურ მატჩში სერიოზულად დაშავდა. 30 წლის ფეხბურთელმა მუხლი დაიზიანა და უახლოეს დღეებში ოპერაციას გაიკეთებს. ექიმების ვარაუდით, ტომაზის სულ ცოტა ნახევარი წელი უქმობა ელის. იტალიელის გადაბირება კი დაშავებამდე მოსკოვის „სპარტაკს“ სურდა.

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ 4 მილიონ გირვანქად ესპანური „მალაგას“ 24 წლის მცველი ხოსე მიგელ გონსალესი, იგივე ხოსემი შეიძინა. „მას დიდი ხანი ვაკვირდებოდი, მისი გადაბირება „ვალენსიაში“ ყოფნისასაც მსურდა. ერთი სიტყვით, განხორციელებული ტრანსფერით ძალიან კმაყოფილი ვარ“ — თქვა მერსისაიდელთა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა.

**სამხრეთ აფრიკაში** მსაჯმა მწვრთნელი ერთ-ერთი მატჩისას მინდორზევე მოკლა. იქაური პოლიციის ოფიციალური განცხადებაში ნათქვამია: „ეპიზოდს, როდესაც არბიტრმა მოთამაშეს ყვითელი ბარათი უჩვენა, ჩხუბი მოჰყვა. ხოლო როდესაც განრისხებული მწვრთნელი მსაჯს მივარდა, შავოსანმა იარაღი ამოიღო და ესროლა“. მწვრთნელი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მსაჯი დააპატიმრეს.

**არგენტინის** ნაკრებისა და „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველი ხავიერ მასკერანო შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსში“ აღმოჩნდეს. ამბობენ, ფეხბურთელს ბაბუა იტალიელი ჰყავდა და ორმაგი მოქალაქეობის მიღებაც არ გაუჭირდებაო. მასკერანო არგენტინის ნაკრებს კოპა ამერიკაზე ახლდა და პერუში ვერცხლის მედალიც მიიღო, იგი ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია.

**ჰოლანდიის** ნაკრების ნახევარმცველი ბუდევინ ზენდენი ინგლისური „ჩელსიდან“ „მიდლსბროში“ გადავიდა. „ყველაფერი შეთანხმებულია, მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერალა დარჩა. ჩემი შვილი ძალიან კმაყოფილია“ — განაცხადა ზენდენის მამამ. მხარეები კი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

# გერმანული ტრანსფერები 2004-2005



„ბაიერნის“ ირანელი ახალწვეული ვაჰიდ ჰაშემიანი

## ვოლფსბურგი

**მოვიდნენ**

აჰუმადა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)
მ. ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი)
ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
ლენცი (მიუნხენ 1860)
ტ. მარიჩი (მიონხენგლადბახი)
მენსეგესი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია)

**წავიდნენ**

ფ. ბაიანო (ფლამენგო, ბრაზილია)
კ. მადსენი (ჰანზა)
ლალატოვიჩი (შახტარი, უკრაინა)
პონსე (უნ. დე ჩილე, ჩილე)
კვატროკი (ვერაკრუსი, მექსიკა)
რამოვიჩი (მიონხენგლადბახი)
ბილიშკოვი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰრგოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## [illegible]

**მოვიდნენ**

ნერლინგერი (რეინჯერსი, შოტლანდია)
იანკერი (უდინეზე, იტალია)
ჰერჩი (აინტრახტი)
ამანატიდისი (აინტრახტი)
ზაიცი (შალკე)
მიკიჩი (დინამო, ხორვატია)
ზანდი (ლიუბეკი)
ენგელარდტი (კარლსრუე)
გიასულა (ფრაიბურგი)
ტებერი (ზალცბურგი, ავსტრია)
ფრომლოვიცი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

კლოზე (ვერდერი)
ლოკვენცი (ბოხუმი)
კნავსი (ბოხუმი)
მ. ხრისტოვი (ვოლფსბურგი)
ლინკოლნი (შალკე)
ბიელიცა (ადმირა, ავსტრია)
გლიბო (რეგენსბურგი)
ჰენგენი (ალემანია)
დომინგუში (ალ აჰლი, ყატარი)
ს. როიტერი (ზაარბრიუკენი)

## ვერდერი

**მოვიდნენ**

დ. იენსენი (მურსია, ესპანეთი)
პასანენი (აიაქსი, ჰოლანდია)
ფარენჰორსტი (ბოხუმი)
კლოზე (კაიზერსლაუტერნი)
გუსტავო ნერი (სან პაულუ, ბრაზილია)

**წავიდნენ**

აილტონი (შალკე)
კრსტაიჩი (შალკე)
ბანოვიჩი (ნიურნბერგი)
დაუნი (ნიურნბერგი)
როლფესი (ალემანია)
ველაგე (დუისბურგი)
მ. ფრიდრიხი (მაინცი)
სკრიპნიკი (თამაში მიატოვა)

## დორტმუნდი

**მოვიდნენ**

კრინგე (კიოლნი)
ოლისე (ბოხუმი)
რამელი (ახალგაზრდული გუნდიდან)
აკგიუნი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ახენბახი (კიოლნი)
კეისი (მაინცი)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)
ფრინგსი (ბაიერნი)
კრონტირისი (მიუნხენ 1860)
ლეანდრო (პალმეირასი, ბრაზილია)
ამოროზო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰერლიხი (თამაში მიატოვა)
შ. როიტერი (თამაში მიატოვა)

## ბაიერნი

**მოვიდნენ**

ფრინგსი (დორტმუნდი)
გიორლიცი (მიუნხენ 1860)
ჰაშემიანი (ბოხუმი)
ლუსიო (ლევერკუზენი)

**წავიდნენ**

ლელი (კიოლნი)
მისიმოვიჩი (ბოხუმი)
ლიზარაზუ (მარსელი, საფრანგეთი)

## შალკე

**მოვიდნენ**

აილტონი (ვერდერი)
ბორდონი (შტუტგარტი)
კრსტაიჩი (ვერდერი)
ლინკოლნი (კაიზერსლაუტერნი)
პეტერაიტი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ბაუმიოჰანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰესე (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰოოგლანდი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ტალარეკი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ჰაიტო (ნიურნბერგი)
ციომერი (ტვენტე, ჰოლანდია)
გლიდერი (პაშინგი, ავსტრია)
ვან კერკჰოვენი (მიონხენგლადბახი)
პინტუ (ალემანია)
ზაიცი (კაიზერსლაუტერნი)
ტროიანი (ბოხუმი)
აგალი (ჰანზა)
კ. ჯორჯევიჩი (თამაში მიატოვა)
მატელანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## გლადბახი

**მოვიდნენ**

ფუკალი (ჰამბურგი)
კამპა (ნიურნბერგი)
ვან კერკჰოვენი (შალკე)
ნოივილი (ლევერკუზენი)
რამოვიჩი (ვოლფსბურგი)
სკოუბო (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
ციგე (ტოტენჰემი, ინგლისი)
ივიჩი (პარტიზანი, სერბეთი)

**წავიდნენ**

ასანინი (აალენი)
კეტელაერი (ნიურნბერგი)
ვან ლენტი (აინტრახტი)
ტ. მარიჩი (ვოლფსბურგი)
მ. ობრადოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი)
ოჯიგვე (მიუნხენ 1860)
რაიტმაიერი (ერფურტი)
რუბენი (რეალი, ესპანეთი)
შიოსლერი (პადერბორნი)
შტილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნიურნბერგი

**მოვიდნენ**

ბანოვიჩი (ვერდერი)
ბოსაცკი (ლეხი, პოლონეთი)
დაუნი (ვერდერი)
ლეანდრო და სილვა (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ჰაიტო (შალკე)
კეტელაერი (მიონხენგლადბახი)
კლევერი (ჰანზა)
შროტი (მიუნხენ 1860)
ვაგეფელდი (დინამო, დრეზდენი)

**წავიდნენ**

ს. ჩირიჩი (ოფენბახი)
დავიდი (ერფურტი)
კამპა (მიონხენგლადბახი)
კოში (აუე)
კრჟინოვეკი (ლევერკუზენი)
კიოგლერი (ოსნაბრიუკი)
ნიხტი (ალემანია)
პასლაკი (იურდინგენი)
შტეფული (ჰანოვერი)
შტელე (ალემანია)
ვლადემირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დრილერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტონი სანე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაფაელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფრაი (თამაში მიატოვა)

## ლევერკუზენი

**მოვიდნენ**

ფრაიერი (ბოხუმი)
როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია)
კრჟინოვეკი (ნიურნბერგი)
შტარკე (ჰამბურგი)
ვორონინი (კიოლნი)

**წავიდნენ**

ბაშთურქი (ჰერტა)
ბრდარიჩი (ვოლფსბურგი)
ჰერჩი (კაიზერსლაუტერნი)
იურიჩი (ჰანოვერი)
ლუსიო (ბაიერნი)
ა. მეიერი (დუისბურგი)
ნოივილი (მიონხენგლადბახი)
პროისი (ბოხუმი)
შიმაკი (სპარტა, ჩეხეთი)
სებესკენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბარნეტა (ჰანოვერი)

## ჰამბურგი

**მოვიდნენ**

ლაუტი (მიუნხენ 1860)
ე. მპენზა (სტანდარდი, ბელგია)
ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი)
კირშტაინი (ესენი)
ბრეშკო (შმარტნო, სლოვენია)
ჰამპელი (ჰერტა B)

**წავიდნენ**

ფუკალი (მიონხენგლადბახი)
ჰოოგმა (ჰერაკლესი, ჰოლანდია)
მალტრიცი (ბოხუმი)
ა. მეიერი (აინტრახტი)
შტარკე (ლევერკუზენი)
ლედესმა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ჰოლერბახი (თამაში მიატოვა)
კარდოზო (თამაში მიატოვა)

## ჰერტა

**მოვიდნენ**

ბაშთურქი (ლევერკუზენი)
ჟილბერტო (სან კაეტანო, ბრაზილია)
შრიოდერი (კიოლნი)
ტრემერი (ჰანოვერი)

**წავიდნენ**

გოორი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კირალი (კრისტალ პალასი, ინგლისი)
ლაპაჩინსკი (ჰანზა)
კარვანი (ლეგია, პოლონეთი)
კუშჩაკი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
პინტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## არმინია

**მოვიდნენ**

ბაკლი (ბოხუმი)
კ. დურო (რიზესფორი, თურქეთი)
მ. ფინკი (შტუტგარტი)
მ. მარიჩი (კერნტენი, ავსტრია)
რადუჩანუ (ესპანიოლი, ესპანეთი)
შულერი (ჰანოვერი)
ტრაიანოვი (ლოკომოტივი, ბულგარეთი)

**წავიდნენ**

ამედიკი (ბრაუნშვაიგი)
ბენშნაიდერი (კიოლნი)
რადტკე (ტრირი)
სინისტერა (დუისბურგი)
ვიოლშოვი (აალენი)
მურავსკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სადოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## შტუტგარტი

**მოვიდნენ**

შტრაწცლი (მიუნხენ 1860)
ბაბელი (ლივერპული, ინგლისი)
დელპიერი (ლილი, საფრანგეთი)
რატგები (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ბორდონი (შალკე)
მ. ფინკი (არმინია)
ჰუსტერერი (აინტრახტი)
მუტცელი (კარლსრუე)
რუი მარკეში (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბრანკო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბოხუმი

**მოვიდნენ**

ბეკმანი (ესბიერგი, დანია)
ედუ (სანტოსი, ბრაზილია)
მალტრიცი (ჰამბურგი)
კნავსი (კაიზერსლაუტერნი)
ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი)
პროლისი (ლევერკუზენი)
ტროიანი (შალკე)
მისიმოვიჩი (ბაიერნი)
ნავიდკია (სეპაჰანი, ირანი)
ტეკანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
მატიპი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ოლისე (დორტმუნდი)
ბაკლი (არმინია)
ფარენჰორსტი (ვერდერი)
ფრაიერი (ლევერკუზენი)
ჰაშემიანი (ბაიერნი)
ბ. გუდიონსონი (ქოვენთრი, ინგლისი)
ვრიეზდე (ჰელმონდი, ჰოლანდია)

## ფრაიბურგი

**მოვიდნენ**

დორნი (შანხაი შენხუა, ჩინეთი)
პიტროიპა (პლანეტე, ბურკინა ფასო)
ოლაიენგბეში (ჯულიუს ბერგერი, ლაოსი)

**წავიდნენ**

გიასუა (კაიზერსლაუტერნი)
გუიე-მიენი (კიოლნი)
მენერი (კარლსრუე)
ა. ცაიერი (თამაში მიატოვა)

## ჰანოვერი

**მოვიდნენ**

ბარნეტა (ლევერკუზენი)
ენკე (ბარსელონა, ესპანეთი)
იურიჩი (ლევერკუზენი)
ლეანდრო (იანგ ბოისი, შვეიცარია)
რიკარდუ სოუზა (ბოავიშტა, პორტუგალია)
ტარნატი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
ვალნერი (რაპიდი, ავსტრია)
შტეფული (ნიურნბერგი)

**წავიდნენ**

ხაიმე (დეპორტივო, ესპანეთი)
კლებერი (ბაზელი, შვეიცარია)
კონსტანტინიდისი (კიოლნი)
ნკუფო (ტვენტე, ჰოლანდია)
ოსვალდი (კარლსრუე)
როსე (მაინცი)
ტრემელი (ჰერტა)
შულერი (არმინია)
აბელ შავიერი (ალ აჰლი, ყატარი)
მ. ციგლერი (აუსტრია, ავსტრია)

## ჰანზა

**მოვიდნენ**

ა. კელერი (ტრირი)
ლაპაჩინსკი (ჰერტა)
კ. მადსენი (ვოლფსბურგი)
დ. რასმუსენი (ნორდსიელანდი, დანია)
აგალი (შალკე)

**წავიდნენ**

კლევერი (ნიურნბერგი)
კოვარი (სიგმა, ჩეხეთი)
პლასნეგერი (გრაცერი, ავსტრია)
შიდი (უნტერჰახინგი)
მაქსი (თამაში მიატოვა)
კინცი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიმერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მაინცი

**მოვიდნენ**

კეისი (კარლსრუე)
იოვანოვიჩი (დინამო, დრეზდენი)
ნოვესკი (აუე)
ვაიგელტი (ესენი)
მ. ფრიდრიხი (ვერდერი)
როსე (ჰანოვერი)

**წავიდნენ**

კიონე (კილი)
ს. შვარცი (ესენი)
ტიურკი (კოტბუსი)
ციგნერი (კარლ ცეისი)
ბულაიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სპერანცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვალკერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 004 | მიუნსტერი-ფორტუნა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 16.00 | 005 | ვუპერტალი-ზპ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 006 | კილი-ჰამბურგი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 007 | ურდინგენი-პადერბორნი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 008 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 009 | ჰერტა(მ)-უნიონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 010 | ვოლფსბურგი(მ)-არმინია(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 011 | კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,57 | 1,23 | 1,28 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 014 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 015 | შტურმი-ადმირა | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.30 | 016 | ბრეგენცი-გრაცერი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 21.30 | 017 | მატერსბურგი-პაშინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 018 | აუსტრია-რაპიდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |

### დანია. სუპერლიგა. II ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 050 | რანდერსი-ჰერფიოლგე | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 17.00 | 051 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.00 | 052 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 17.00 | 053 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.35 | 054 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |

### შვედეთი. სუპერეტა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 077 | ფრიოლუნდა-ბრომაპოიკარნა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 21.00 | 078 | ოპერა-ენჩიოპინგი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 079 | გაის-ასირისკა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 21.00 | 080 | გეფლე-ბოდენსი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 081 | ნორჩიოპინგი-ბრაგე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 082 | ვესტეროსი-ატვიდაბერგი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.00 | 083 | ფალკენბერგი-ჰეკენი | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,21 | 1,16 | 1,07 |

### ნორვეგია. ტიპელიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 096 | ლინი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 20.00 | 097 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 098 | ბოდიო გლიმტი-სოგნდალი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 20.00 | 099 | სტაბეკი-ჰამარი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 100 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.05 | 101 | ვიკინგი-რუსენბორგი | 4,0 | 3,4 | 1,75 | 1,83 | 1,21 | 1,15 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 102 | ბრანი-ვოლერენგა | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 105 | ტამპერე-ჯაზი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 106 | ინტერი-ტპ 47 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 107 | მიუპა-იარო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23.15 | 114 | ვესტმანაეიარი-აკურიერი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |

### ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22.45 | 116 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,47 | 1,26 | 1,32 |

### რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 124 | სპარტაკი-როსტოვი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### პოლონეთი. I ლიგა. I ტური.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 159 | ზაგლებე-კრაკოვია | 1,95 | 3,2 | 3,3 | 1,21 | 1,22 | 1,62 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 160 | კატოვიცე-ლეხი | 2,7 | 3,1 | 2,3 | 1,44 | 1,24 | 1,32 |
| 20.00 | 161 | ოდრა-ამიკა | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 20.00 | 162 | პლოცკი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 163 | ვისლა-ლეჩნა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 164 | პოგონი-ლეგია | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |

### ბრაზილია. სერია A. XIX ტური.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 167 | ატლეტიკო პრ-პონტე პრეტა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 03.30 | 168 | ბოტაფოგო-ფლამენგო | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1;36 |
| 03.30 | 169 | კორინთიანსი-კრუზეირო | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 03.30 | 170 | პაისანდუ-კრიკიუმა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 03.30 | 171 | გრემიო-ვიტორია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 04.45 | 172 | გუარანი-პალმეირასი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 04.45 | 173 | ჟუვენტუდი-სან პაულუ | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 04.45 | 174 | ფიგეირენსე-ფლუმინენსე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 175 | სანტოსი-კურიტიბა | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 03.30 | 176 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 177 | ვასკუ და გამა-გოიასი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 03.30 | 178 | ატლეტიკო მნ-პარანა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

### აშშ. MLS

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 208 | კოლამბუსი-დალასი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 04.30 | 209 | კანზასი-ნიუ იორკი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,24 | 1,7 |
| 05.30 | 210 | კოლორადო-ჩიკაგო | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |

### შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 212 | ერდრი-ქუინი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 213 | ალოა-ელგინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 214 | არბროთი-პიტერჰედი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 18.00 | 215 | ეარი-ფოლკირკი | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| 18.00 | 216 | დამბარტონი-სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 18.00 | 217 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 18.00 | 218 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 7,0 | 5,0 | 1,25 | 2,91 | 1,06 | 1 |
| 18.00 | 219 | ფორფარი-მორტონი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,19 | 1,31 |
| 18.00 | 220 | გრეტნა-მონტროუზი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 221 | პარტიკი-ბრეჩინი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 222 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 223 | რეითი-ალბიონი | 1,3 | 4,8 | 7,5 | 1,02 | 1,1 | 2,92 |
| 18.00 | 224 | როსი.სტ.მირენი | 2,0 | 3,4 | 3,1 | 1,25 | 1,21 | 1,62 |
| 18.00 | 225 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |

### გერმანია. ლიგის თასი. 1/2 ფინალი

28 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 228 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

29 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 229 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |

### საფრანგეთი. სუპერ თასი

31 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 231 | ლიონი-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |

### შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი

29 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 232 | გიოტებორგი-იორებრო | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |

### ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. I მატჩები

28 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 241 | სკონტო-ტრაბზონი | 2,9 | 3,1 | 2,25 | 1,49 | 1,26 | 1,3 |
| 21.00 | 242 | აპოელი-სპარტა | 4,4 | 3,3 | 1,7 | 1,88 | 1,22 | 1,12 |
| 22.00 | 243 | ჟილინა-დინამო(ბქ) | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 22.15 | 244 | იანგ ბოიზი-ცრვენა ზვეზდა | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 22.30 | 245 | ჰაიდუკი-შელბურნი | 1,25 | 4,6 | 8,5 | 1 | 1,08 | 2,98 |
| 22.30 | 246 | ბრიუგე-ლოკომოტივი(პლ) | 1,22 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,07 | 3,13 |
| 22.30 | 247 | რუსენბორგი-შერიფი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 22.30 | 248 | იურგორდენი-კაუნასი | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |

### უეფას თასი. I შესარჩევი ეტაპი. II მატჩები

29 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 250 | შამქირი-თბილისი | 2,45 | 3,0 | 2,5 | 1,34 | 1,23 | 1,36 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 251 | ყარაბახი-ბ.ბისტრიცა | 3,2 | 3,0 | 1,6 | 1,54 | 1,06 | 1,04 |
| 18.30 | 252 | სოლიგორსკი-ნისტრუ | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 253 | ბანანცი-ილიჩოვეცი | 2,9 | 3,0 | 2,15 | 1,47 | 1,23 | 1,25 |
| 19.00 | 254 | ტალინი-აკრანესი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,15 | 1,49 |
| 19.00 | 255 | ვენტსპილსი-ბ 68 | 1,07 | 4,0 | 9,0 | 1 | 1 | 2,76 |
| 20.00 | 256 | ქალგირისი-პორტადაუნი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| 20.00 | 257 | ალიანსი-გლენტორანი | 1,3 | 4,2 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,69 |
| 20.00 | 258 | დინამო(თბ)-ბატე | 1,6 | 3,2 | 3,8 | 1,06 | 1,12 | 1,73 |
| 20.00 | 259 | ეტცელა-ჰაკა | 5,3 | 3,8 | 1,45 | 2,21 | 1,13 | 1,04 |
| 20.00 | 260 | დუდელანჟი-ეკრანასი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,84 | 1,21 | 1,12 |
| 20.00 | 261 | ქელეზნიჩარი-პენიაროსა | 1,01 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 262 | მოდრიცა-სტ.კოლომა | 1,02 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 21.00 | 263 | მეტალურგსი-ბ 36 | 1,05 | 4,6 | 9,0 | 1 | 1 | 3,04 |
| 21.00 | 264 | დინამო(ტირ)-ოცელული | | | | | | |
| 21.00 | 265 | ტირასპოლი-შირაკი | 1,4 | 3,6 | 5,6 | 1 | 1,12 | 2,19 |
| 21.00 | 266 | პრიმორიე-მარსაქსლოკი | 1,05 | 4,6 | 9,0 | 1 | 1 | 3,04 |
| 22.00 | 267 | ბირკირკარა-პარტიზანი(ტირ) | 2,0 | 3,0 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 22.00 | 268 | ლონგფორდი-ვადუცი | 2,05 | 3,2 | 3,1 | 1,24 | 1,23 | 1,57 |
| 22.00 | 269 | მარიბორი-სილექსი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 22.00 | 270 | სლოგა-ომონია | 2,2 | 3,0 | 2,0 | 1,26 | 1,04 | 1,2 |
| 22.00 | 271 | ჰონვედი-აშტარაკი | 1,2 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,66 |
| 22.30 | 272 | ტნს-იოსტერსი | 2,9 | 3,2 | 2,15 | 1,52 | 1,23 | 1,28 |
| 23.15 | 273 | ჰაფნარფიორდური-ჰევერფორდვესტი | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |

### ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

28 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 274 | ოფკ-ატლეტიკო | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| 20.00 | 275 | ლილი-სლავენი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 20.30 | 276 | ესბიერგი-შალკე | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 21.00 | 277 | ლიბერეცი-ნანტი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 22.30 | 278 | გენკი-ლეირია | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.30 | 279 | ვილიარეალი-ჰამბურგი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

### ამხანაგური მატჩები

28 ივლისი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 280 | ლიონი-ანდერლეხტი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 22.45 | 281 | რეინჯერსი-ტოტენჰემი | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |
| 04.00 | 283 | მანჩესტერი-სელტიკი | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთი. ლე-შამპიონატი 2004-2005

## 2004 წელი

**1-ლი ტური: 7 აგვისტო**

ბასტია : სტრასბური
კაენი : ისტრი
მარსელი : ბორდო
ლილი : ოსერი
მეცი : ნანტი
ნიცა : ლიონი
სენტ ეტიენი : მონაკო
რენი : პსჟ
სოშო : აიაჩო
ტულუზი : ლანსი

**მე-2 ტური: 14 აგვისტო**

აიაჩო : მეცი
ოსერი : რენი
ბორდო : ნიცა
ლანსი : სენტ ეტიენი
ლიონი : სოშო
მარსელი : ლილი
ნანტი : ბასტია
მონაკო : ისტრი
პსჟ : კაენი
სტრასბური : ტულუზი

**მე-3 ტური: 21 აგვისტო**

ბასტია : აიაჩო
ისტრი : ლანსი
კაენი : მონაკო
ლილი : ბორდო
მეცი : ლიონი
რენი : ნანტი
ნიცა : მარსელი
სენტ ეტიენი : სტრასბური
ტულუზი : პსჟ
სოშო : ოსერი

**მე-4 ტური: 28 აგვისტო**

აიაჩო : რენი
ბორდო : სოშო
ოსერი : კაენი
ლანსი : მონაკო
მარსელი : მეცი
ლიონი : ლილი
ნანტი : ტულუზი
პსჟ : სენტ ეტიენი
ნიცა : ბასტია
სტრასბური : ისტრი

**მე-5 ტური: 11 სექტემბერი**

ბასტია : ოსერი
კაენი : ლანსი
ისტრი : პსჟ
ლილი : ნიცა
მეცი : ბორდო
მონაკო : სტრასბური
რენი : ლიონი
სოშო : მარსელი
სენტ ეტიენი : ნანტი
ტულუზი : აიაჩო

**მე-6 ტური: 18 სექტემბერი**

აიაჩო : სენტ ეტიენი
ბორდო : რენი
ოსერი : მეცი
ლილი : კაენი
ლიონი : ბასტია
ნანტი : ისტრი
მარსელი : ტულუზი
ნიცა : სოშო
პსჟ : მონაკო
სტრასბური : ლანსი

**მე-7 ტური: 22 სექტემბერი**

ბასტია : ბორდო
ისტრი : აიაჩო
კაენი : სტრასბური
ლანსი : პსჟ
მონაკო : ნანტი
მეცი : ნიცა
რენი : მარსელი
სენტ ეტიენი : ოსერი
ტულუზი : ლიონი
სოშო : ლილი

**მე-8 ტური: 25 სექტემბერი**

აიაჩო : კაენი
ოსერი : ისტრი
ბორდო : ტულუზი
ლიონი : მონაკო
ნანტი : ლანსი
ლილი : მეცი
მარსელი : ბასტია
ნიცა : რენი
სოშო : სენტ ეტიენი
პსჟ : სტრასბური

**მე-9 ტური: 2 ოქტომბერი**

ბასტია : პსჟ
ისტრი : მარსელი
კაენი : ბორდო
ლანსი : აიაჩო
მონაკო : ნიცა
მეცი : სოშო
რენი : ლილი
სენტ ეტიენი : ლიონი
ტულუზი : ოსერი
სტრასბური : ნანტი

**მე-10 ტური: 16 ოქტომბერი**

აიაჩო : სტრასბური
ბორდო : ისტრი
ლიონი : კაენი
ოსერი : ლანსი
ლილი : ბასტია
მარსელი : სენტ ეტიენი
ნანტი : პსჟ
მეცი : მონაკო
ნიცა : ტულუზი
სოშო : რენი

**მე-11 ტური: 23 ოქტომბერი**

კაენი : ნანტი
ბასტია : სოშო
ისტრი : ლიონი
მონაკო : ოსერი
რენი : მეცი
ლანსი : მარსელი
პსჟ : აიაჩო
სენტ ეტიენი : ბორდო
ტულუზი : ლილი
სტრასბური : ნიცა

**მე-12 ტური: 30 ოქტომბერი**

აიაჩო : ნანტი
ბორდო : ლანსი
ლიონი : სტრასბური
ოსერი : პსჟ
ლილი : სენტ ეტიენი
ნეცი : ბასტია
რენი : კაენი
მარსელი : მონაკო
ნიცა : ისტრი
სოშო : ტულუზი

**მე-13 ტური: 6 ნოემბერი**

ბასტია : რენი
კაენი : სოშო
ისტრი : ლილი
მონაკო : აიაჩო
პსჟ : მარსელი
ლანსი : ლიონი
ნანტი : ოსერი
სენტ ეტიენი : ნიცა
ტულუზი : მეცი
სტრასბური : ბორდო

**მე-14 ტური: 13 ნოემბერი**

ოსერი : აიაჩო
ბორდო : პსჟ
ბასტია : სენტ ეტიენი
ლილი : მონაკო
მარსელი : სტრასბური
ლიონი : ნანტი
მეცი : კაენი
ნიცა : ლანსი
სოშო : ისტრი
რენი : ტულუზი

**მე-15 ტური: 20 ნოემბერი**

აიაჩო : არსელი
კაენი : ნიცა
ისტრი : მეცი
ლანსი : ლილი
მონაკო : სოშო
პსჟ : ლიონი
ნანტი : ბორდო
სენტ ეტიენი : რენი
სტრასბური : ოსერი
ტულუზი : ბასტია

**მე-16 ტური: 27 ნოემბერი**

ბასტია : კაენი
ბორდო : აიაჩო
ლიონი : ოსერი
მარსელი : ნანტი
ლილი : სტრასბური
მეცი : სენტ ეტიენი
რენი : ისტრი
ნიცა : პსჟ
სოშო : ლანსი
ტულუზი : მონაკო




**მე-17 ტური: 4 დეკემბერი**

აიაჩო : ლიონი
კაენი : მარსელი
ოსერი : ბორდო
ისტრი : ბასტია
ლანსი : მეცი
ნანტი : ნიცა
სენტ ეტიენი : ტულუზი
მონაკო : რენი
პსჟ : ლილი
სტრასბური : სოშო

**მე-18 ტური: 11 დეკემბერი**

ბასტია : მონაკო
ბორდო : ლიონი
მარსელი : ოსერი
ლილი : ნანტი
მეცი : სტრასბური
ნიცა : აიაჩო
სენტ ეტიენი : კაენი
ტულუზი : ისტრი
რენი : ლანსი
სოშო : პსჟ

**მე-19 ტური: 18 დეკემბერი**

აიაჩო : ლილი
კაენი : ტულუზი
ოსერი : ნიცა
ისტრი : სენტ ეტიენი
ლანსი : ბასტია
მონაკო : ბორდო
პსჟ : მეცი
ლიონი : მარსელი
ნანტი : სოშო
სტრასბური : რენი

## 2005 წელი

**მე-20 ტური: 12 იანვარი**

ბასტია : ნანტი
კაენი : პსჟ
ლილი : მარსელი
ნიცა : ბორდო
ისტრი : მონაკო
მეცი : აიაჩო
რენი : ოსერი
სენტ ეტიენი : ლანსი
სოშო : ლიონი
ტულუზი : სტრასბური

**21-ე ტური: 15 იანვარი**

აიაჩო : ბასტია
ბორდო : ლილი
ოსერი : სოშო
ლანსი : ისტრი
მარსელი : ნიცა
ნანტი : რენი
ლიონი : მეცი
მონაკო : კაენი
პსჟ : ტულუზი
სტრასბური : სენტ ეტიენი

**22-ე ტური: 22 იანვარი**

ბასტია : ნიცა
ისტრი : სტრასბური
მეცი : მარსელი
კაენი : ოსერი
ლილი : ლიონი
მონაკო : ლანსი
სენტ ეტიენი : პსჟ
რენი : აიაჩო
სოშო : ბორდო
ტულუზი : ნანტი

**23-ე ტური: 26 იანვარი**

აიაჩო : ტულუზი
ბორდო : მეცი
ლიონი : რენი
ოსერი : ბასტია
მარსელი : სოშო
ნიცა : ლილი
ნანტი : სენტ ეტიენი
პსჟ : ისტრი
სტრასბური : მონაკო
ლანსი : კაენი

**24-ე ტური: 29 იანვარი**

ბასტია : ლიონი
კაენი : ლილი
ისტრი : ნანტი
ლანსი : სტრასბური
მონაკო : პსჟ
სენტ ეტიენი : აიაჩო
მეცი : ოსერი
რენი : ბორდო
სოშო : ნიცა
ტულუზი : მარსელი

**25-ე ტური: 5 თებერვალი**

აიაჩო : ისტრი
ბორდო : ბასტია
ოსერი : სენტ ეტიენი
ლილი : სოშო
ლიონი : ტულუზი
ნანტი : მონაკო
მარსელი : რენი
ნიცა : მეცი
სტრასბური : კაენი
პსჟ : ლანსი

**26-ე ტური: 19 თებერვალი**

ბასტია : მარსელი
ისტრი : ოსერი
კაენი : აიაჩო
ლანსი : ნანტი
მეცი : ლილი
რენი : ნიცა
მონაკო : ლიონი
სენტ ეტიენი : სოშო
სტრასბური : პსჟ
ტულუზი : ბორდო

**27-ე ტური: 26 თებერვალი**

აიაჩო : ლანსი
ოსერი : ტულუზი
ლილი : რენი
ბორდო : კაენი
მარსელი : ისტრი
ლიონი : სენტ ეტიენი
ნანტი : სტრასბური
ნიცა : მონაკო
სოშო : მეცი
პსჟ : ბასტია

**28-ე ტური: 5 მარტი**

ბასტია : ლილი
ისტრი : ბორდო
კაენი : ლიონი
ლანსი : ოსერი
მონაკო : მეცი
რენი : სოშო
სტრასბური : აიაჩო
პსჟ : ნანტი
სენტ ეტიენი : მარსელი
ტულუზი : ნიცა

**29-ე ტური: 12 მარტი**

აიაჩო : პსჟ
ბორდო : სენტ ეტიენი
ლიონი : ისტრი
ოსერი : მონაკო
ლილი : ტულუზი
მარსელი : ლანსი
ნანტი : კაენი
მეცი : რენი
ნიცა : სტრასბური
სოშო : ბასტია

**30-ე ტური: 19 მარტი**

ბასტია : მეცი
კაენი : რენი
ლანსი : ბორდო
ისტრი : ნიცა
მონაკო : მარსელი
ნანტი : აიაჩო
სენტ ეტიენი : ლილი
პსჟ : ოსერი
სტრასბური : ლიონი
ტულუზი : სოშო

**31-ე ტური: 2 აპრილი**

აიაჩო : მონაკო
ბორდო : სტრასბური
ლიონი : ლანსი
ოსერი : ნანტი
ლილი : ისტრი
მარსელი : პსჟ
ნიცა : სენტ ეტიენი
მეცი : ტულუზი
რენი : ბასტია
სოშო : კაენი

**32-ე ტური: 9 აპრილი**

აიაჩო : ოსერი
კაენი : მეცი
ლანსი : ნიცა
ნანტი : ლიონი
ისტრი : სოშო
მონაკო : ლილი
პსჟ : ბორდო
სტრასბური : მარსელი
სენტ ეტიენი : ბასტია
ტულუზი : რენი

**33-ე ტური: 16 აპრილი**

ოსერი : სტრასბური
ბორდო : ნანტი
ბასტია : ტულუზი
ლილი : ლანსი
მარსელი : აიაჩო
ლიონი : პსჟ
მეცი : ისტრი
ნიცა : კაენი
სოშო : მონაკო
რენიტ : სენტ ეტიენი

**34-ე ტური: 23 აპრილი**

აიაჩო : ბორდო
ოსერი : ლიონი
ისტრი : რენი
მონაკო : ტულუზი
კაენი : ბასტია
ლანსი : სოშო
ნანტი : მარსელი
სენტ ეტიენი : მეცი
პსჟ : ნიცა
სტრასბური : ლილი

**35-ე ტური: 7 მაისი**

ბასტია : ისტრი
ბორდო : ოსერი
ლიონი : აიაჩო
მეცი : ლანსი
ლილი : პსჟ
მარსელი : კაენი
ნიცა : ნანტი
რენი : მონაკო
სოშო : სტრასბური
ტულუზი : სენტ ეტიენი

**36-ე ტური: 14 მაისი**

აიაჩო : ნიცა
ოსერი : მარსელი
ისტრი : ტულუზი
კაენი : სენტ ეტიენი
ლანსი : რენი
ლიონი : ბორდო
ნანტი : ლილი
მონაკო : ბასტია
პსჟ : სოშო
სტრასბური : მეცი

**37-ე ტური: 21 მაისი**

ბასტია : ლანსი
ლილი : აიაჩო
ბორდო : მონაკო
მარსელი : ლიონი
მეცი : პსჟ
რენი : სტრასბური
ნიცა : ოსერი
სენტ ეტიენი : ისტრი
სოშო : ნანტი
ტულუზი : კაენი

**38-ე ტური: 28 მაისი**

აიაჩო : სოშო
ბორდო : მარსელი
ოსერი : ლილი
ისტრი : კაენი
ლიონი : ნიცა
ლანსი : ტულუზი
მონაკო : სენტ ეტიენი
პსჟ : რენი
ნანტი : მეცი
სტრასბური : ბასტია

# მორაგბეებმა შემოდგომა დაგეგმეს

## საქართველომ აზერბაიჯანი შემოიერთა




ბადრი [illegible] ფოტო

აზერბაიჯანული რაგბი ქართულ მიწაზე იზრდება

**საქართველოს** რაგბის კავშირმა საქართველოს თასზე მოთამაშე ცამეტი გუნდი უმაღლეს და პირველ ლიგებში გადაანაწილა და ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი დაამტკიცა. ჩემპიონატი 4 სექტემბერს დაიწყება და დეკემბრამდე გასტანს.

უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი ითამაშებს. „ლოკომოტივი“, „სტუყოჩები“, „ლელო“, „იმედი L-აკადემია“, ქუთაისის „აია“ და ბათუმის „დათვები“ ერთმანეთს ორ წრედ დაუპირისპირდებიან. ორ წრედვე ითამაშებენ პირველ ლიგაში მოხვედრილი „უნივერსიტეტი“, „ხულიგანა“, „ყოჩები-2“, „იმედი L-აკადემია 2“, „არმაზი“, „დინამო“ და „ბაქოც“.

ზედა ექვსეულის საუკეთესო ოთხეული ჩემპიონობისთვის ბრძოლას ორრაუნდიანი პლეი ოფით განაგრძობს. მეხუთეადგილოსანი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ასევე ორ რაუნდად პირველი ლიგის მეორეადგილოსანს შეერკინება, მეექვსე კი ყოველგვარი გადათამაშების გარეშე გავარდება და ადგილს პირველი ლიგის ჩემპიონს დაუთმობს.

აქედანვე ცნობილია, რომ ქუთაისის, ბათუმისა და ბაქოს გუნდები საშინაო შეხვედრებს საკუთარ მოედანზე ჩაატარებენ. თბილისურ მატჩებს „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანი უმასპინძლებს, თუმც შიგადაშიგ ალბათ ბურთი ვარკვეთილის მეურნეობის ხრიოკზეც გადაგორდება.

დადგინდა ჭაბუკთა ლიგების თამაშთა განრიგიც. A ლიგაში 1987-88 წლებში დაბადებულები გამოვლენ, B-ში კი 1989-90-იანები. ორივე ლიგა დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად დაიყოფა და პლეი ოფებში ორ-ორი საუკეთესო ითამაშებს. ფინალები კი თბილისში, „ლოკომოტივზე“ ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება.

### უმაღლესი ლიგის კალენდარი

**პირველი წრე**

I ტური
4-5 სექტემბერი
ლოკომოტივი — აია
ყოჩები — ლელო
აკადემია — დათვები

II ტური
11-12 სექტემბერი
ლელო — ლოკომოტივი
აია — დათვები
აკადემია — ყოჩები

III ტური
18-19 სექტემბერი
ლოკომოტივი — აკადემია
დათვები — ყოჩები
ლელო — აია

IV ტური
25-26 სექტემბერი
დათვები — ლოკომოტივი
აკადემია — ლელო
აია — ყოჩები

V ტური
2-3 ოქტომბერი
ყოჩები — ლოკომოტივი
ლელო — დათვები
აია — აკადემია

**მეორე წრე**

VI ტური
9-10 ოქტომბერი
აია — ლოკომოტივი
ლელო — ყოჩები
აკადემია — დათვები

VII ტური
16-17 ოქტომბერი
ლოკომოტივი — ლელო
დათვები — აია
ყოჩები — აკადემია

VIII ტური
23-24 ოქტომბერი
აკადემია — ლოკომოტივი
ყოჩები — დათვები
აია — ლელო

IX ტური
30-31 ოქტომბერი
ლოკომოტივი — დათვები
ლელო — აკადემია
ყოჩები — აია

X ტური
6-7 ნოემბერი
ლოკომოტივი — ყოჩები
დათვები — ლელო
აკადემია — აია

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი
27-28 ნოემბერი

ფინალი
12 დეკემბერი

# შავ ზღვაში პირველი ლოკომოტივი შეცურავს

**შავი ზღვის** თასის პირველ გათამაშებას ოქტომბრის დასაწყისში უკრაინა მასპინძლობს და მასზე ამჯერად მხოლოდ ოთხი გუნდი ითამაშებს. მასპინძელთა, რუმინელთა, რუსთა და ქართველთა თითო გუნდი კიევში ერთ კვირაში მოამთავრებს საქმეს და თასის პირველ მფლობელსაც გამოავლენს. ეს ინფორმაცია გუშინწინ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტ ზაზა ქასაშვილისგან მივიღეთ. გუშინ კი კავშირს უკრაინაში წასასვლელი გუნდის ვინაობის შესატყობად მივმართეთ.

„ამ დროისთვის წასვლის სურვილი მხოლოდ „ლოკომოტივმა“ გამოთქვა — გვითხრა საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ხუციშვილმა.— რკინიგზელები მზად არიან, ხარჯები თავად დაფარონ და რადგან აქამდე შავი ზღვის თასზე თამაში მხოლოდ მათ ისურვეს, არა მგონია, მათ მომავალში ვინმე შეეცილოს. „ლოკომოტივი“ საკმაოდ კარგი გუნდია, სერიოზულად ემზადება და იმედია, წარმატებითაც ითამაშებს.“

**ოთარ გალლაძელიძე**



ბადრი [illegible] ფოტო

„შავი ზღვის თასზე“ ალბათ კახა ალანიას „ლოკომოტივი“ ითამაშებს



### დორტმუნდის სუპერტურნირი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

**V ტური**

I ჯგუფი: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) 1:0; არკადი ნაიდიჩი (გერმანია) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0:1

II ჯგუფი: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) 0,5:0,5; სერგეი კარიაკინი (უკრაინა) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5

# ინდოელი რუსებს თავზე გადაახტა



ვიშვანათან ანანდი

**მეორე** ჯგუფისგან განსხვავებით, პირველში თითქმის ყველაფერი გაირკვა. სერგეი რუბლიოვსკის დამარცხებით ვიშვანათან ანანდი ცხრილს მარტოდმარტო შემოასკუპდა და სუპერტურნირის პირველი ნახევარფინალისტი შეიქნა. ასევე შეიძლება პლეი ოფში დავიგულოთ რუსეთის ოთხგზის ჩემპიონი პეტერ სვიდლერი. უახლოეს მდევარს ის მთელი ქულით უსწრებს და მეორე გამსვლელი ადგილისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნის.

სამაგიეროდ დიდი გაურკვევლობაა მეორე ჯგუფში, სადაც ფავორიტებად მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის მატჩის მონაწილენი, ვლადიმირ კრამნიკი და პეტერ ლეკო ითვლებიან. აქ ყველას 2,5-2,5 ქულა აქვს და იმედია, ყველაფერი ბოლო მატჩებში გაირკვევა. მორიგი ყაიმების შემთხვევაში დამატებითი სწრაფი პარტიები დაინიშნება და თუ ამანაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ მოჭადრაკეები ხუთწუთიან ბლიცებს გაითამაშებენ.

ანანდისა და რუბლიოვსკის პარტია ინდუსის უპირატესობით წარიმართა. აზიელმა დიდოსტატმა პარტია მეფის გამბიტით დაიწყო, წინ მსუბუქი ფიგურების გამოყვანას შეუდგა და მე-9 სვლაზე მესამე ხაზზე ეტლები და კუები ჩაამწკრივა. მე-11 სვლაზე ინდუსი მარჯვენა ფლანგიდან შეუხტა რუსს, თუმც ბევრი არ უბრძოლია, მხოლოდ თეთრი კუ b6-ე უჯრაზე გაამაგრა.

ამ სვლით ინდუსი მარცხენა ფლანგზე უპირატესობას დაეუფლა და ცენტრიდან ექვეთა მეტოქეს. მსუბუქ ფიგურებს მალე მძიმეებიც მიჰყვნენ, b6 უჯრაზე გამაგრებულს კი გვერდით, c უჯრაზე, მეორე კუც ამოუდგა და ორივემ „სროლებით“ შავი ხელმწიფე მარჯვენა მხარეს გააძევა. რუსის ძლიერმა ფიგურებმა წყვილად გამაგრებულ კუებზე მიიტანეს იერიში და საკუთარი დევნილი მეფე გადაავიწყდათ, რომელსაც თეთრი ლაზიერი დაესხა თავს. რუბლიოვსკი გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა. მისი ხელმწიფის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომაც ლაზიერით მეტოქე მეფეზე მიიტანა იერიში, მაგრამ ინდუსმა იგი მოხერხებულად მოიგერია და 25-ე სვლაზე მსუყე ქულა აიღო.

**ლაშა გეგეჭკორი**

| I ჯგუფი | |
|---|---|
| ანანდი | 3,5 ქულა |
| სვიდლერი | 3,0 |
| რუბლიოვსკი | 2,0 |
| ნაიდიჩი | 1,5 |

| II ჯგუფი | |
|---|---|
| კრამნიკი | 2,5 |
| ლეკო | 2,5 |
| კარიაკინი | 2,5 |
| ბოლოგანი | 2,5 |



ინდოელმა რუსის მეფე მარჯვნივ გააგდო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკიტა, მიყვარხარ!
## ამბობს კიკი ვანდევეი და მის გაცვლაზე ფიქრობს


კიკი ვანდევეი

**დენვერულ** პრესაში ნიკა ცქიტიშვილის გუნდიდან გაშვება-არგაშვებაზე მსჯელობას ბოლო არ უჩანს. ჟურნალისტთა უმრავლესობა ამბობს, რომ „სკიტა" უნდა წავიდეს და ეს უნდა თავად კალათბურთელსაც, მაგრამ „ნაგიტსის" ხელმძღვანელობა ჭოჭმანობს, შარშანწინ დრაფტზე მე-5 ნომრად აყვანილი ქართველი სხვისთვის არ ემეტება. არადა, მის პოზიციაზე ისეთი ხალხი ჰყავს, ცქიტიშვილი კონკურენციის გარდაუვალ მსხვერპლად მოჩანს.

შარშანდელის არ იყოს, ცქიტიშვილმა წლეულსაც დიდებულად ითამაშა საზაფხულო ლიგებში. მისდა სამწუხაროდ, საზაფხულო ლიგებშივე იყოჩაღა „დენვერის" თავდამსხმელმა ფრანცისკო ელსონმაც, რაც ქართველი ფორვარდის შანსებს კიდევ უფრო ამცირებს.

მაგრამ ელსონი არავინაა იმ მართლაც ვარსკვლავ კენიონ მარტინთან, რომელიც „დენვერში" „ნიუ ჯერსიდან" მივიდა და თავდამსხმელის პოზიციაზე მინიმუმ 35-წუთიანი თამაშები გამოწერილი აქვს. მარტინს თუ დასვენება დასჭირდა, „დენვერის" მწვრთნელს შესანიშნავი ბრაზილიელი ფორვარდი ნენე ჰყავს, რომელიც გასულ სეზონში ხუთეულში იყო და არც ახლა დარჩება მთლად უთამაშებელი.

„წინა სეზონში არ გვყავდა კენიონ მარტინი და მე არ მათამაშებდნენ — ამბობს ცქიტიშვილი — ახლა კი მარტინი ჩვენთანაა."

დენვერელებს აფიქრებთ ცქიტიშვილის ლას ვეგასსა და სოლტ ლეიკ სიტიში ნაჩვენები კარგი სტატისტიკა, ეგებ ეს ბიჭი მართლაც გაიხსნაო და დღემდე სიტყვა არ დაუძრავთ მის გაშვებაზე. „სკიტა" ქალაქ-სამორინეში ნათამაშებ სამ მატჩში საშუალოდ 25,6 ქულას იხვეჭდა, მერე კი მორმონთა „დედაქალაქში" გადავიდა და 5 მატჩში საშუალოდ 14 ქულა გააკეთა. სოლტ ლეიკ სიტიში ცქიტიშვილი ფარზე მუშაობითაც გამოირჩა და თითო მატჩში საშუალოდ ექვს ბურთს ხსნიდა.

„ის ძალიან კარგად გამოიყურებოდა საზაფხულო ლიგებში. ცქიტიშვილის წარმატებები მე ძალიან მახარებს — ამბობს „დენვერის" პრეზიდენტი კიკი ვანდევეი — ის რომ უმატებს, ეს პირველ რიგში „დენვერს" წაადგება. მიყვარს „სკიტა", მე ის სულ მიყვარდა. კარგი ბიჭია, ყველასგან გამოსარჩევი. რასაც იგი ფლობს, ძალიან ბევრი კალათბურთელი ინატრებდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ 215-სანტიმეტრზე მაღალია და სამქულიანს კარგად ესვრის. მისი დარ მოთამაშეს ძნელად იპოვი."

ლაპარაკი ერთია და საქმე მეორე — ცქიტიშვილმა ორი სეზონი გაატარა „დენვერში" და ჯერაც ღრმა სათადარიგოდ ითვლება. ისიც სათქმელია, რომ „ცქიტოს" სადებიუტო სეზონში ძალიან ბევრი აცადეს, მაგრამ ის ვერ გაიხსნა ისე, როგორც მასთან ერთად დრაფტზე აყვანილი ნენე.

ცქიტიშვილი სადებიუტო სეზონში ფრთად (მე-3 ნომერი) თამაშობდა, მაგრამ შემდეგ კუნთები რომ დაებერა, თავდამსხმელად გადაიყვანეს. ახლა მას არც ფრთად თამაშის პერსპექტივა აქვს, რაკი ამ პოზიციაზე გასული სეზონის სუპერახალბედა კარმელო ენტონი ბობოქრობს და ცქიტიშვილს ისე გამოუვა, უის გავეყარე და ვაის შევეყარეო.

„მე ძალიან მანაღვლებს ცქიტიშვილის ბედი. მას ბოლო სეზონში თითქმის არ უთამაშია — ამბობს მისი მენეჯერი მარკ ფლეიშერი — ჩვენ აღარ დავუშვებთ, რომ მომავალ სეზონშიც იგივე განმეორდეს. „სკიტამ" განავითარა როგორც სხეული, ასევე თამაშის ხარისხი და ეს ყველამ კარგად დაინახა საზაფხულო ლიგებზე."

ვანდევეი კი ერთხელაც ადასტურებს თავის სიმპათიას ქართველისადმი და ამბობს, ცქიტიშვილის სათამაშო დროის განსაზღვრა მხოლოდ მწვრთნელს ჯეფ ბზდელიკს შეუძლიაო.

ვანდევეის დღეს მოუწევს „ცქიტიშვილის საქმისთვის" წერტილის დასმა — უშვებს თუ იტოვებს გუნდში? დღეს კიკი და მარკ ფლეიშერი ცქიტიშვილის მომავალზე ილაპარაკებენო, იტყობინებოდა გუშინდელი „დენვერ პოსტი".

**ირაკლი პერტაია**

# ტონი შეცვალე, ენტონი
## ამერიკა ათენში ბავშვებს აგზავნის

**ორშაბათს** საათენოდ გამზადებულმა ამერიკის ნაკრებმა საოლიმპიადო შეკრება დაიწყო. პირველი ვარჯიში და პირველი განცხადებები, რომელთაგან ყველაზე მეტად ყურს პირტიტველა კარმელო ენტონის ბაქიბუქი ხვდება:

„ჩვენ გარანტიას ვიძლევით, რომ ათენიდან ოქროს ჩამოვიტანთ" — ენტონის ამ ფრაზის გამო ბოდიშის მოხდა თავად „დრიმ თიმის" უსტაბაშს, „დეტროიტ პისტონზის" გამჩემპიონებელ ლარი ბრაუნს მოუხდა.

„ამას მხოლოდ ბავშვი თუ იტყოდა. ენტონის ეს გამოუცდელობით და ახალგაზრდული სულსწრაფობით მოუვიდა. დარწმუნებული ვარ, ის პატივს სცემს ჩვენს მეტოქეებს, ჩავა და ნახავს, რომ არგენტინა, ლიტვა, სერბეთი და კიდევ არაერთი სხვა გუნდი ,ხელწამოსაკრავი არაა."

ენტონი მართლაც ახალგაზრდაა, მაგრამ ნაკრებში მასზე პატარებიც არიან. ლებრონ ჯეიმსი მასზე უმცროსია, თუმცა მან ამჯობინა, ენტონისგან განსხვავებით ენაზე კბილი დაეჭირა. ასაკი ვახსენეთ და ამერიკის ეს ნაკრები ყველაზე ახალგაზრდულია „დრიმ თიმთა" შორის — ანუ იმ ნაკრებებში, რომლებიც ოლიმპიადებზე 1992 წლიდან გამოდიან.

ენტონი-ჯეიმსთან ერთად ათენში მიდის „მაიამის" მარჯვე ახალბედა დუეინ ვეიდი და წლევანდელი დრაფტის მე-2 ნომერი ემეკა ოკაფორი ყველაზე მხცოვანი კი 29 წლის ალენ აივერსონია, რომელიც ორშაბათს „დრიმ თიმის" თანაკაპიტნად დაინიშნა ტიმ დანკანთან ერთად.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ თანაკაპიტნებთან ერთად მხოლოდ რიჩარდ ჯეფერსონია ამერიკელთა იმ ნაკრებიდან, რომელმაც შარშან ზაფხულს საკვალიფიკაციო მატჩებში საათენო საგზური მოიპოვა.

ამერიკაში ყველამ იცის, რომ ოლიმპიური ოქრო „დრიმ თიმს" დარჩება, მაგრამ ამაზე ღიად არავინ საუბრობს სპორტული ეთიკის გამო. ენტონისაც ამიტომ მოედავნენ, თორემ ის კი არ უთქვიათ, ტყუილებს ნუ ლაპარაკობო...

**ირაკლი პერტაია**



კარმელო ენტონის შეეშალა



ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS ფოტოხრონიკა
ანდრე აგასი ვალებს არ იტოვებს

# ჰაას-აგასიანი გრძელდება
## ანდრანიკმა გერმანელს ნეკი მოაკაკვინა

**მასტერსის სერია**
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,564 მილიონი $

**პირველი წრე**

**ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 3:2 ფერერომ შეწყვიტა; **ანდრე აგასი** (10, აშშ) — ტომი ჰაასი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (14, ტაილანდი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:5, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (16, არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 5:7, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:1, 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 6:7 (1:7), 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:6 (8:6), 7:6 (11:9)

პირველი დღის ცენტრალურ მატჩად ტურნირის სამგზის (1992, 1994-95 წლების) ჩემპიონ ანდრე აგასისა და ტრავმიანობის შემდეგ წლეულს დიდ კორტზე კაცურად მობრუნებული ტომი ჰაასის შეხლა იქცა. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ბადის ორივე მხარეს სახელიანი მეჩოგნეები იდგნენ, არამედ იმიტომაც, რომ 34 წლის არმენოამერიკელს ჰაასისგან ორი კვირის წინ ლოსანჯელესობაზე ნაწნევი მარცხის გამო რევანშის აღება უნდა ეცადა.

სცადა და — აკი გამოუვიდა კიდეც. მატჩს 10 500 მაცქერალი დაესწრო და ეს ხალხი არც მეორე სეტისას 23 წუთით წამოთქეშილ წვიმას დაუფრთხობია.

შტეფი გრაფის შებერებულმა თანამეცხედრემ, ვინაც ცოტა ხნის წინ ბარძაყის ტრავმის გამო ჩიოდა და დასვენების აუცილებლობაზე ლალადებდა, ძალზედ აგრესიულად იჩოგნავა, არაერთხელ მიიჭრა ბადესთან და წაგებული სეტის შემდეგ ორის უკუგებით რევანშიც აიღო.

ისე ღრმად უგლაჯუნებდა, თავის დაცვის მეტი არაფერი დამრჩენოდაო, იმართლებოდასავით ნამატჩევს ჰაასი. ჯადო ანდრანიკი კი კორტსა და იქ არსებულ ზღაპრულ ატმოსფეროს ეხოტბებოდა— აქ საპირველწრეო მატჩებიც კი ფინალებივითაო.

სხვაფრივ — კიდევ ერთი წარუმატებელი საამსეზონო ტურნირი მიითვალა ხუან კარლოს ფერერომ, ვისაც ფაბრის სანტოროსთან მატჩის კი არა, სეტის მომთავრებაც კი მტკივანმა წელმა არ დააცადა.

კომფორტულად გაივაკა 1997 წლის ფინალისტმა გუსტავო კუერტენმა. სხვათა შორის, გუგა ერთადერთი არაამერიკელი მეჩოგნეა, ოთხივე ჩრდილოამერიკული სამაგარსაფრო მასტერსტურნირის ფინალში რომ უთამაშია.

ისე კი შევახსენებთ, რომ ტურნირი შარშან ენდი როდიკმა მოიგო. თქმა არ უნდა, ის წლეულს აუცილებლად ეცდება ტიტულის დაცვას, ოღონდ ზემოთ ნახსენებ მეჩოგნეთა გარდა ამაში მას ხელს შეუშლის ჯერ... ჩოგანს ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი, მესამე ნომრად განთესილი გილერმო კორია და ნომერ ხუთი ტიმ ჰენმანიც შეუშლიან. ვინძლო, ბარაქიანი ბურთაობა ვიხილოთ.

**ACURA CLASSIC**
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**პირველი წრე**

**ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:5); **ეშლი ჰარკლროუდი** (აშშ) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) 6:4, 3:6, 7:5; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (14, ისრაელი) 6:0, 6:3; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (15, იტალია) 6:3, 3:6, 6:4; **კაროლინა სპრემი** (ხორვატია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:3, 6:2

კლაისტერს-ენენის გარდა ამ ტურნირზე ყველა უძლიერესი ქალმეჩოგნე შემოკრებილა — აქ არიან უილიამსდებიც, წინა ორი კვირის განმავლობაში სტენფორდ-ლოსანჯელესში გალაღებული ლინდსი დევენპორტიც, უიმბლდონის 17 წლის დედოფალი მაშა შარაპოვა და მისი რუსდებიც. აქედან გამომდინარე, ისევე როგორც ტორონტოულ კაცურ მასტერსზე, აქაც კაი დაშხოშიანი ჩოგნაობა უნდა გაგვიჩაღდეს.

ამათ გამოსვლამდე კი კორტზე მეორე პლანის მსახიობები გაირჯნენ და თუკი რამ საინტერესო მოხდა, ეგ უკლებლივ ანგარიშებშია ასახული.

მხოლოდ იმასღა მოგაგონებთ, რომ შარშანდელ ფინალში ჟუსტინ ენენ-არდენმა კიმ კლაისტერსი დაამარცხა.

**ლევან ბელაურაძე**

# მიხაელი მეცხრე წრეზე წავიდა

*თითქმის ოთხი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ: მესამედ გაჩემპიონების შემდეგ მიხაელ შუმახერმა თავისი პროგრამა-მაქსიმუმი წარმოადგინა — კარიერის ბოლომდე 70 რბოლის მოგებას და 1000 ქულის დაგროვებას შევეცდებიო. ბევრმა ეს ემოციამოძალებული ახალგაზრდა კაცის მოუფიქრებელ ნათქვამად ჩათვალა. მართლაც იმხანად შუმის ანგარიშზე „სულ რაღაც" 44 დიდი პრიზი და 678 ქულა ჰქონდა*




მიხაელ შუმახერს 81-ე გამარჯვებაც პირველივით ახარებს

ერთი სიტყვით, საფორმულო საზოგადოებას ამ თამამი პროგნოზისა მაინცდამაინც არ სჯეროდა. მაგრამ დაიწყო თუ არა 2001 წლის ჩემპიონატი, „კერპენელმა არწივმა" ფრთები გაშალა და სეზონის მიწურულს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტის 51-მოგებიანი რეკორდი დაამხო. ლეგენდარული ფრანგი „პროფესორი" თავისთვის ამ უსიამოვნო ამბავს ასე გამოეხმაურა: „ბოლო დღეებში ყველა ამ მოვლენის მოლოდინში იყო. მეკითხებოდნენ, როდის მოხდებოდა ეს, თითქოს ჩემზე იყო დამოკიდებული. სასიამოვნოა თუ არა, მთავარი ისაა, რომ მოსახდენი ბოლოს და ბოლოს მოხდა. შუმახერი შეიძლება ხუთგზის, ექვსგზის ჩემპიონი გახდეს, შესაძლოა, მან 60 ან 70 რბოლაც მოიგოს — მე ეს არ ვიცი. ყველაფერი პირადად მასზე, მის მოტივაციასა და მის გუნდზეა დამოკიდებული...

როგორც ხედავთ, „პროფესორმაც" კი ვერ გამოიცნო. მიხაელს მოტივაცია შერჩა რომელია, დღესაც ისე ახარებს გამარჯვება, თითქოს, ვთქვათ, მეათე ყოფილიყოს და არა გასულ კვირას, გერმანიაში მოპოვებული 81-ე დიდი პრიზი. ის „უტოპიური", მოგებქულიანი გეგმა შარშან შეასრულა, ხოლო მიმდინარე ჩემპიონატში 11-ჯერ იდგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე და უკვე მეცხრე ათეული გახსნა.

ფორმულა 1-ში შუმახერის დებიუტი 1991 წელს ბელგიაში შედგა, პირველი მოგებაც სწორედ იქ, სპა-ფრანკორშამის ტრასაზე მოიპოვა „ბენეტონით" ზუსტად ერთი წლის თავზე და მას შემდეგ ისე გარეკა, დასასრული არ ჩანს.

*დიადი გერმანელის 81 გამარჯვება:*

*7 — კანადა, საფრანგეთი*

*6 — ბელგია, სან მარინო, ესპანეთი*

*5 — მონაკო, იაპონია, ევროპა*

*4 — ბრაზილია, იტალია, ავსტრალია*

*3 — უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, მალაიზია, გერმანია*

*2 — ავსტრია, წყნარი ოკეანე*

*1 — პორტუგალია, არგენტინა, ბაჰრეინი*

სულ მიხაელს 21 დასახელების ეტაპი აქვს მოგებული. კანადასა და საფრანგეთში მისი 7-7 გამარჯვებაც აბსოლუტური საფორმულო რეკორდია — ერთი ქვეყნის დიდი პრიზი სხვას არავის მოუგია.

მო[illegible] ძელდება და რა ახალი ზღვარი დაუთქვა „წითელმა ბარონმა" საკუთარ თავს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. მისანიშნებლად შეგახსენებთ, რომ შუმის ზღაპრული კარიერის გასრულებამდე წლევანდელი ექვსი ეტაპი და კიდევ ორი სრული სეზონია, სულ ორმოციოდე რბოლა.

**გია ახალაძე**

## ყველაზე მეტმოგებიანები

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | რბოლა | % |
|---|---|---|---|---|
| 1 მიხაელ შუმახერი | გერმანია | 81 | 207 | 39,1 |
| 2 ალენ პროსტი | საფრანგეთი | 51 | 199 | 25,6 |
| 3 აირტონ სენა | ბრაზილია | 41 | 161 | 25,5 |
| 4 ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 31 | 187 | 16,6 |
| 5 ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 27 | 99 | 27,3 |
| 6 ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 25 | 72 | 34,7 |
| 7 ნიკი ლაუდა | ავსტრია | 25 | 171 | 14,7 |
| 8 ხუან მანუელ ფანხიო . | არგენტინა | 24 | 51 | 47,0 |
| 9 ნელსონ პიკე | ბრაზილია | 23 | 204 | 11,3 |
| 10 დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 22 | 115 | 19,1 |
| 11 მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 20 | 162 | 12,3 |
| 12 სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | 16 | 66 | 24,2 |
| 13 ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 14 | 144 | 9,7 |
| 14 ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 14 | 144 | 9,7 |
| 15 გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 14 | 176 | 8,0 |
| 16 ალბერტო ასკარი | იტალია | 13 | 32 | 40,6 |
| 17 დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 13 | 169 | 7,7 |
| 18 ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 12 | 116 | 10,4 |
| 19 მარიო ანდრეტი | აშშ | 12 | 128 | 9,4 |
| 20 კარლოს რუტმანი | არგენტინა | 12 | 146 | 8,2 |
| 21 ჟაკ ვილნევი | კანადა | 11 | 131 | 8,4 |
| 22 ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | 10 | 92 | 10,9 |
| 23 ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 10 | 112 | 9,0 |
| 24 რონი პეტერსონი | შვედეთი | 10 | 123 | 8,2 |
| 25 გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 10 | 210 | 5,0 |

ათენი 2004

# ბერძნებმა მეჩირაღდნე დაპარგეს
## ათენში ჩიტიც ტერორისტია

**ათენის** ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალში 8 000 კაცი გამოვა. გრანდიოზულ სატელევიზიო შოუში, რომელიც 3,5-საათს გაგრძელდება, ძირითადად მოხალისე ვოლონტიორები იმონაწილევებენ. ამ ცერემონიალის სცენარი, როგორც მისი წინამორბედი ოლიმპიური თამაშებისა, მკაცრად გასაიდუმლოებულია. ორგანიზატორები მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ამ წარმოდგენის მიზანი ოლიმპიური თამაშების ისტორიული ტრადიციების წარმოჩენა იქნება, რომელსაც საფუძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე ჩაეყარა.




გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიურ ცეცხლს ალბათ კოსტას კენტერისი ააგიზგიზებს

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორები ოლიმპიადის საზეიმო გახსნის სცენარს უმკაცრესად ასაიდუმლოებდნენ, მისი დეტალები ბრიტანული გაზეთ „სანდი მირორისთვის" გახდა ცნობილი. ამან ცხადია, ოლიმპიადის მასპინძლები ძალზე განარისხა.

გაზეთი კერძოდ იუწყება, რომ მთავარი ოლიმპიური სტადიონის სცენა წყალზე მოეწყობა, მასზე 400 მედაფდაფე გამოვა და გულისცემის იმიტაციას განასახიერებს. გაზეთის ცნობით, ცერემონიის დროის აღნუსხვა უკუსვლით განხორციელდება, რომლის დასრულების შემდეგ იქაურობა თვალისმომჭრელად განათდება, ხოლო სტადიონის თაღებს ზემოთ ცეცხლის ალი ავარდება.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალის განუყოფელი ნაწილი რა თქმა უნდა, ოლიმპიური ცეცხლის დანთება იქნება.

საინტერესოა, რომ ამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს მძლეოსანი კოსტას გაციუდისი, რომელმაც ოლიმპიაში ქურუმსგან პირველმა ჩაიბარა საესტაფეტო ოლიმპიური ჩირაღდანი. მან კი თავის მხრივ მეორე ეტაპზე ცეცხლი გადასცა რუს მოცურავე ალექსანდრ პოპოვს.

კოსტას გაციუდისი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორია შუბის ტყორცნაში და მასზე ბერძნები ათენის ოლიმპიადაზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, შუბოსანმა მხრის ტრავმა მიიღო.

ეტყობა, არ ცდებოდნენ ბერძნები, როცა მათი ჩირაღდნის არაერთგზის ჩაქრობა ცუდად ენიშნათ, რამაც უამრავ პრობლემასთან ერთად გაციუდისის ტრავმაც მოუტანათ.

ახლა ოლიმპიადის მასპინძლები მძლეოსნობაში უმთავრეს იმედს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონზე 200 მეტრზე რბენაში კოსტას კენტერისზე ამყარებენ, აგრეთვე 100 მეტრზე რბენაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ეკატერინა ტანუზე. ბერძენ მძლეოსანთა უფროსი მწვრთნელი ოდისიას პაპადოლისი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები გააუმჯობესებენ სიდნეის თამაშების მიღწევას, სადაც სხვადასხვა ხარისხის 4 მედალი მოიპოვეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 0:0 ცსკა (რუსეთი)

პიუნიკი (სომხეთი) 1:3 შახტარი (უკრაინა)

0:1 მარიცა (30), 1:1 ნაზარიანი (60), 1:2 მარიცა (75), 1:3 აგაოვა (80)

ტირანა (ალბანეთი) 2:3 ფერენცვაროში (უნგრეთი)

0:1 ჰუშტი (42პ), 1:1, 2:1 მუკა (58, 66), 2:2 ჰაიდარი (89ს.კ.), 2:3 ჰუშტი (90)

ჰიკ (ფინეთი) 0:0 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)

ნოვა გორიცა (სლოვენია) 1:2 კოპენჰაგენი (დანია)

0:1 ა. სანტოსი (44), 1:1 როდიჩი (57), 1:2 პ. მიოლერი (69)

## უეფას თასი 2004-2005
### I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ბოჰემიანსი (ირლანდია) 1:3 *ლევადია (ესტონეთი)* (0:0)

0:1 ჩეპაუსკასი (9), 1:1 კროუ (54), 1:2 ცელნოკოვი (67), 1:3 დოვიდენასი (77)

## ავსტრია
### პირველი დივიზიონი II ტური

ავსტრია (ლ) 2:1 ლეობენი

კაპფენბერგი 3:0 ალტახი

კერნტენი 4:0 გრატკორნი

ლინცერი 1:0 უნტერზიბენბრუნი

ვიორგლი 1:4 რიდი

## შვეიცარია
### სუპერლიგა. II ტური

აარაუ 0:1 თუნი

ციურიხი 3:1 სენტ გალენი

## შვედეთი
### ალსვენსკა. XIII ტური

ჰალმსტადი 2:1 ჰამარბი


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი, რიო და სიყვარულის ზღვა

ბრაზილიის მოფინტავეთა ნაკრებმა პერუდან რიო დე ჟანეიროში „კოპა ამერიკის" თასი ჩაიტანა, იქ კი ზღვა ხალხი და ზღვა სიხარული დახვდა. მთელი ლათინური ამერიკის თავდამსხმელების მომგერიელებელ და ფინალში არგენტინისთვის ბოლოო პენალტის გამტან მცველ ჟუანს ცოლი მონიკა დაჰკონებია. თავდამსხმელ ლუიშ ფაბიანუს კი პრესა და თულფი დაეცა: ხმები დაირხა, მალე მოიტაცებს ბებერი კონტინენტის რომელიმე ღრმაჯიბიანი გუნდიო.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან





REUTERS პრაღიდან

# თასი და დაფასება

სტენლის თასი ჩეხეთშია და წლევანდელი ჩემპიონის, „ტამპა ბეის" ჩეხ მოთამაშეებს პაველ კუბინასა და სტანისლავ ნეკარს ის ქვეყნის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსთან მიუტანიათ. პრეზიდენტი მასზე ამოტვიფრულ ჩემპიონებში თანამემამულეთა გვარებს ეძებს.

# ასე ვერ გაფრინდები!




REUTERS ტორონტოდან

ხუან კარლოს ფერერომ მთელი შარშანდელი სეზონი იფრინა და თუკი რამ ჯიგარი ჰქონდა, ამოიღო და კორტზე დადო. წლეულს კი ისე გადამნვარია, ვერც თავს ერევა და ვერც ტრავმებს, ტურნირიდან ტურნირზე წასაგებად დაიარება. ტორონტოს მასტერსტურნირზე ფაბრის სანტოროსთან შეხლისას ექიმსაც გამოუძახა, მაგრამ ვერც ამით ეშველა და თამაში შეწყვიტა.

ხოლო სხვა მეჩოგნეებს ასე არ გასჭირვებიათ. ლეიტონ ჰიუიტი და ტიმ ჰენმანი იქავ ტორონტოში კოლო-ფეროროზე მეტად ტკბებიან ყოველდღიური ცხოვრებით. ჰოკეის გუნდ „ტორონტო მეიფლ ლივზის" მაისურებიც მოურგიათ.



REUTERS ტორონტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge